

შ.პ.ს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI

ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

შ.პ.ს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI წარმოადგენს კომპანიას რომლისთვისაც დასაქმებულთა შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ჯანმრთელობა არის უპირველესი საზრუნავი. კომპანია მიიღებს ყველა გონივრულად პრაქტიკულ ზომას, რათა აღმოფხვრას და მინიმუმამდე შეამციროს საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი რისკები. საქართველოს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის და საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოახდინოს იმ საფრთხეების იდენტიფიკაცია, რომელთაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინონ დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე. კომპანიის შრომის უსაფრთხოების გუნდი ზრუნავს როგორც სამშენებლო ობიექტზე მყოფ საკუთარ თანამშრომლებზე ისე ნებისმიერ სხვა პიროვნებაზე, რომელიც დროებით მოხვდება სამშენებლო ტერიტორიაზე. (კონტრაქტორები, ვიზიტორები)

კომპანია იღებს ვალდებულებას სამშენებლო სამუშაოები უზრუნველყოს საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე პროექტის მიმდინარეობისას რიგ სიტუაციებში გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები. ISO, OSHA და სხვა. დასაქმებულთა მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის სტანდარტში.

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის გეგმის და კომპანიის (CSCEC) ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით, დადგენილია უსაფრთხოების ის ღონისძიებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა კომპანიისა და მისი თანამშრომლებისთვის, რათა გათვალისწინებულ იქნას შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნები და უზრუნველყოფილ იქნას ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე უწყვეტი კონსულტაციების გამართვისა და მათი მართვის მექანიზმები.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის აღსრულების ღონისძიებები


შ.პ.ს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ს სამშენებლო პროექტზე შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის ეფექტურად აღსრულებისთვის შექმნილია „პროექტის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის გეგმა“. გეგმა ასახავს პროექტზე მიმდინარე სამუშაოების სპეციფიკას. მათთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიკაციას, რისკების შემცირების გზებს. პრევენციულ ღონისძიებებს. შიდა ორგანიზაციულ საკითხებს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას.

საქართველო, თბილისი

13 იანვარი 2025 წელი

შ.პ.ს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI

დირექტორი: გიორგი აბრამიშვილი



ბახვი 1 ჰესის სამშენებლო სამუშაოების პროექტი

შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის გეგმა

ოქტომბერი.2023

რევიზიის N	დოკუმენტის ტიპი	მიხეილ ნატროშვილი	გიორგი აბრამიშვილი	ხელმოწერა	
02	გეგმა	ავტორი შ/უ მენეჯერი	პროექტის დირექტორი	დამტკიცებულია დირექტორის მიერ	თარიღი 2023 ოქტომბერი

სარჩევი

1.1	მიზანი	5
1.2	ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების (OHS) პოლიტიკა	5
1.2.1	ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი - ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი (HS მენეჯერი).....	7
1.2.2	მენეჯერები, ოფიცრები, ინჟინრები და ზედამხედველები	7
1.2.3	დასაქმებულები.....	8
1.2.4	კონტრაქტორები.....	8
1.2.5	ვიზიტორები	9
1.3	საკონსულტაციო და საკომუნიკაციო ღონისძიებები	9
1.3.1	ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელი პირები (HSR) (არსებობის შემთხვევაში)	9
1.4	სწავლება	10
1.5	ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება.....	10
1.6	საფრთხის/დაშავების/ინციდენტის შესახებ ანგარიშგება	11
1.6.1	საფრთხის, დაშავების ან ინციდენტის შესახებ ანგარიშგების გზები:.....	11
1.7	პირველადი დახმარება	11
1.8	ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სწავლება და შესავალი ინსტრუქტაჟი	12
1.8.1	სწავლება	12
1.8.2	სწავლების შესახებ დოკუმენტაცია	12
1.8.3	ყოველდღიური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ცალკეული სამუშაოს შესასრულებლად	13
1.9	რისკის მართვა და აღრიცხვა	13
1.9.1	რისკის შეფასება	14
1.9.2	რისკის მართვის პროცესი	14
1.9.3	რისკის შეფასების დოკუმენტაცია.....	17
1.9.4	ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის აღრიცხვის ჟურნალი	17
1.10	საფრთხის შემოწმება სამუშაო ადგილზე.....	17
1.11	საჯარო დოკუმენტაცია.....	18
2	ნაწილი გ: ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების კონკრეტული სახის მოთხოვნები	18

2.1	შეუსაბამო ქცევა	18
2.2	კონტრაქტორები.....	19
2.3	სახიფათო ნივთები და სახიფათო ნივთიერებები.....	20
2.4	ელექტრო-უსაფრთხოება.....	20
2.4.1	დიფერენციალური ამომრთველები:.....	20
2.4.2	აღჭურვილობა, რომელიც არ არის უსაფრთხო: :.....	21
2.5	დახურული სამუშაო სივრცე.....	21
2.6	სიმაღლიდან ვარდნა	21
2.7	ხელით შესასრულებელი სამუშაო.....	22
2.7.1	სამუშაოს ხელით შერულებით გამოწვეული ტრავმატიზმის პრევენცია	22
2.7.2	ავტომატებიდან დატვირთვა/გადმოტვირთვის სამუშაოები.....	23
2.8	მოწყობილობა	23
2.8.1	რისკის მართვა.....	23
2.8.2	ტექნომსახურება და რემონტი.....	23
2.8.3	ჩანაწერების შენახვა.....	24
2.9	ინდივიდუალური დაცვის საშუალებები	24
2.10	მოცურება, ფეხის წამოკვრა და დაცემა.....	25
2.10.1	პრევენცია.....	25
2.11	ნარკოტიკული საშუალებებისა და ლეგალური სასმელების გამოყენებასთან დაკავშირებული პოლიტიკა	25
2.12	ავტომატები.....	26
2.12.1	ალკოჰოლური სასმელები და ნარკოტიკული საშუალებები	26
2.12.2	მობილური ტელეფონები	26
2.12.3	უსაფრთხოების ღვედები.....	26
2.12.4	ტვირთის სამაგრი ავტომატებში.....	26
2.13	ინდივიდუალური მუშაობა	27
2.14	საამფეთქებლო სამუშაოები	27
2.15	მიწის სამუშაოები	33
2.16	პორტატული ხელსაწყოები.....	33
2.17	არახელსაყრელი კლიმატური პირობები	34
2.18	ხანძრის პრევენცია.....	34
2.19	სამუშაო ნებართვა (PTW).....	35
2.20	დახურულ სივრცეში შესვლა.....	35

2.21	საწვავის და ზეთის შენახვა.....	36
2.22	მობილური ამწის უსაფრთხოება	37
3	ფორმები და ანკეტები	38
3.1.1	წარედგინა შესაბამის სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.....	38
3.1.2	წარედგინა შესაბამის სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.....	41
3.2	დანართი 6 - OHS-ს სწავლების აღრიცხვის ჟურნალი.....	52
3.3	დანართი 7 - OHS-ს რისკის შეფასების პროფორმა	54
3.4	დანართი 12 - ტექნიკური მოთხოვნები სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მიმართ	57

1.1 მიზანი

აღნიშნული გეგმის მიზანია ბაზვი 1 ჰესების სამშენებლო პროექტისთვის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბება და მისი განხორციელება სამუშაოების მიმდინარეობისას.

შ.პ.ს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ იღებს ვალდებულებას გამოიყენოს სტრუქტურული მიდგომა დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მიმართ, რათა მიაღწიოს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს.

წინამდებარე გეგმა და მისი სრულყოფილი განხორციელება დაეხმარება მენეჯმენტს აღებული ვალდებულებების შესრულებაში. პროექტი ხელმძღვანელობს საქართველოს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე გეგმა ვრცელდება კომპანიის ყველა თანამშრომელზე: მენეჯერზე, ოფიცერზე, ინჟინერზე, მუშახელზე და ყველა სხვა პირზე, რომელიც იმყოფება მის სამუშაო უბანზე. წინამდებარე გეგმაში წარმოდგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს დისციპლინარულ სასჯელს.

1.2 ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების (OHS) პოლიტიკა

შ.პ.ს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა სრულფასოვანი შრომითი პირობები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოება. კომპანია მიიღებს ყველა კანონით განსაზღვრულ ზომას, რათა აღმოფხვრას ან მინიმუმამდე შეამციროს საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი რისკები, რომელიც ემუქრება მუშახელის, კონტრაქტორების, ვიზიტორებისა და ნებისმიერი სხვა პირის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

კომპანია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ მოქმედი ორგანული კანონის და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულება. ასევე კომპანია მოახდენს რიგი საერთაშორისო სტანდარტების შემღებებისდაგვარად შესრულებას, კერძოდ OSHA 45001, IFC, WB სტანდარტების.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით, პროექტზე მიმდინარე სამუშაო აქტივობების ტიპის გათვალისწინებით დადგენილია უსაფრთხოების ის ღონისძიებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა კომპანიისა და მისი თანამშრომლებისთვის, რათა გათვალისწინებულ იქნას შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნები და უზრუნველყოფილ იქნას დასაქმებულთათვის უსაფრთხო გარემო კერძოდ:

- ჯანმრთელი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და შენარჩუნება უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის, უსაფრთხო სამუშაო სისტემის და ქარხნული დანადგარებისა და აღჭურვილობის გამოყენებით;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს შ.პ.ს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ დაქვემდებარებაში მყოფ სამუშაო უბანზე საფრთხეების იდენტიფიკაცია და გამოვლენილი რისკების მინიმუმამდე შემცირება.
- პერიოდული სწავლებები დასაქმებულთა უსაფრთხოების ცნობიერების ასამაღლებლად ესენია: ინსტრუქტაჟი, ტრენინგი, დრილი და სხვა.

- სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა ტექნიკური ინვენტარის დროული უზრუნველყოფა.
- სამუშაო პროცესის მონიტორინგი კვალიფიციური უსაფრთხოების მენეჯერების და ოფიცრების მიერ.

1.2.1 **ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი - ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი (HS მენეჯერი)**

ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს HS მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა შემუშავებაზე და მის განხორციელებაზე სამუშაო პროცესში. ამასთანავე

- მუშახელის ინსტრუქტაჟის ორგანიზება სამუშაოს და პროცედურების ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში გატარებასთან დაკავშირებით და უსაფრთხო სამუშაო პროცედურების გამოყენების მეთვალყურეობა;
- პროექტის მენეჯერის და/ან კომპანიის ხელმძღვანელ სხვა პირთა ინფორმირება ინციდენტის, საფრთხის შემცველი სიტუაციის, სახიფათო ვითარების ან მუშახელის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის მყისიერი რისკის არსებობის შესახებ.
- პოლიტიკის შესახებ ყველა დასაქმებულის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა;
- ყველა მენეჯერთან და მუშახელთან კონსულტაციების გამართვა ნებისმიერ ცვლილებაზე, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათ ჯანმრთელობას თუ უსაფრთხოებას.
- ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხების ყველა შეხვედრის ორგანიზება და აღსრულება;
- პროექტის მენეჯერისთვის ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხების გაცნობა;
- კომპანიის მიერ ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული პროცედურისა შესრულების კონტროლი;
- სამუშაო სივრცის პერიოდული შემოწმება, დარღვევების გამოვლენა შესაბამისი რეაგირება;
- სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევისა და ინციდენტის შეტყობინება და მოკვლევა სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად;
- მენეჯერებისთვის რჩევების მიცემა სამუშაო ჯგუფებში მუშახელის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის თაობაზე.

1.2.2 **მენეჯერები, ოფიცრები, ინჟინრები და ზედამხედველები**

პროექტის სხვადასხვა მიმართულების მენეჯერები, ოფიცრები, ინჟინრები და ზედამხედველები პასუხისმგებლები არიან შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო მუშახელისა და ვიზიტორებისთვის, განსაკუთრებით მათ მართვას დაქვემდებარებულ უბნებზე. აღნიშნულში შედის შემდეგი ქმედებები:

- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება შემდეგი ღონისძიებების გატარებით:
 - რეგულარულ შეხვედრებზე უსაფრთხოების საკითხებზე საუბარი;
 - მუშაობის უსაფრთხო პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა;

- ინციდენტების, საფრთხეების და უსაფრთხოების რისკების შესახებ დაუყოვნებლივ ანგარიშგება;
- სამუშაოს შესრულების თანმხლები რისკის შეფასება და საქმიანობის გაგრძელების აკრძალვა მანამ, სანამ აღნიშნული რისკის სათანადოდ მართვა არ იქნება შესაძლებელი;
- ბაზვი 1 ის ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების გუნდის წევრების მხარდაჭერა და მათ მიერ გაჟღერებული მოთხოვნების სისრულეში მოყვანა;
- საფრთხეებისა და რისკების აღმოჩენაში დახმარება და მათი მართვა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანების გაგება და მონიტორინგი;
- საჭიროების შემთხვევაში, სხვა პასუხისმგებელ პირთა (მაგ: კონტრაქტორების) აქტიურად ხელმძღვანელობა.

1.2.3 დასაქმებულები

დასაქმებული მუშახელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საკუთარ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას სამუშაოს შესრულების დროს. დასაქმებულებმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისმა ქმედებამ ან უმოქმედობამ არ გამოიწვიოს ნეგატიური ზემოქმედება სხვა პირების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. დასაქმებულებმა უნდა უპირობოდ გაითვალისწინონ ბაზვი 1- ჰესის ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ მითითებული ქმედებები სხვადასხვა რისკების პრევენციისთვის. აღნიშნული მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- უნდა დარწმუნდეს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებაში სამუშაო ადგილის დატოვების დროს;
- უსაფრთხოების ზომების, დამცავი მოწყობილობებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სათანადოდ გამოყენება;
- უსაფრთხო მუშაობის დადგენილი პრაქტიკისა და წესების დაცვა;
- მისთვის ცნობილი გამოკვეთილი საფრთხის, შემთხვევის და ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ შეტყობინება HS მენეჯერისთვის.

საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, დასაქმებულ მუშახელს შეუძლია შეწყვიტოს ან უარი განაცხადოს სამუშაოს შესრულებაზე, თუ მას ექნება საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ სამუშაოს შესრულება სერიოზულ რისკს შეუქმნის მის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. კანონი მოითხოვს, რომ დასაქმებულმა, რომელიც წყვეტს სამუშაოს შესრულებას, აცნობოს შესაბამის მენეჯერს, რომ ის წყვეტს საფრთხის შეცველი სამუშაოს შესრულებას.

1.2.4 კონტრაქტორები

კონტრაქტორებს, ქვეკონტრაქტორებს და თვითდასაქმებულებს, რომლებიც კომპანიისთვის ასრულებენ სხვადასხვა ტიპის სამუშაოს, ასევე ექვემდებარებიან პროექტის ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების გეგმით გათვალისწინებულ რეგულაციებს და პოლიტიკას.

- უზრუნველყოფენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი დასაქმებულებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უსაფრთხოების სტანდარტს
- უზრუნველყოფენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი დასაქმებულთათვის შესაბამისი აღჭურვილობის ი.დ.ს და სხვა საჭირო ინვენტარს.

- უპირობოდ ემორჩილებიან ბაზვი 1 ჰესის შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლის მითითებების შესრულებას.

1.2.5 ვიზიტორები

ბაზვი 1 ჰესის ვიზიტორებს და მასთან დაკავშირებულ სხვა პირებს ასევე ეკისრებათ ვალდებულება დაემორჩილონ სამუშაო უბანზე დადგენილ უსაფრთხოების წესებსა და პროცედურებს. ამ ვალდებულებებში შედის:

- საკუთარ და სხვების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- პროექტის შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება;
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ შეტყობინება HS დეპარტამენტთან
- არ მოახდინოს აკრძალულ ტერიტორიაზე უნებართვოდ და თანხლების გარეშე შესვლა;
- გაითვალისწინონ უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელიც კომპანიას აქვს დაწესებული მის ტერიტორიაზე;
- არ აწარმოონ ფოტო ვიდეო გადაღება კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან დასტურის გარეშე;

1.3 საკონსულტაციო და საკომუნიკაციო ღონისძიებები

უსაფრთხო სამუშაო სივრცის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დასაქმებულთა და მენეჯერთა შორის ღია კომუნიკაციის დამყარება. ამდენად, ხდება დასაქმებულების წახალისება შემდეგი ქმედებებისკენ:

- ჯანდაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კითხვების დასმა;
- უსაფრთხოების პრობლემების წამოყენება;
- ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რეკომენდაციების გაცემა;
- უსაფრთხოების საკითხების შეფასებაში ჩართულობა;
- ჯანდაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობა.

ყველა დასაქმებული წარმომადგენს სამუშაო ჯგუფის წევრს და მათ შეუძლიათ წამოჭრან ჯანდაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები მათი მენეჯერების, ოფიცრების, ინჟინრების, ზედამხედველების და/ან უსაფრთხოების საკითხებში წარმომადგენლების წინაშე. თუ იდენტიფიცირებული საკითხის გადაჭრა ვერ მოხერხდა, მისი წარმოჭრა უნდა მოხდეს უშუალოდ ჯანმრთელობის დაცვის შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან

1.3.1 ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელი პირები (HSR) (არსებობის შემთხვევაში)

როგორც ეს საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანულ კანონში არის განსაზღვრული, ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელი ირჩევა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ, ამ ჯგუფის ინტერესების

წარმოსადგენად. წარმომადგენელმა უნდა გაიაროს შესაბამისი სწავლება თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოსაყენებლად და უნდა მიმართოს შემდეგ ქმედებებს:

- დასაქმებულებთან რეგულარული კონსულტაციების გამართვა;
- სამუშაო სივრცის შემოწმება, საჭიროებისამებრ;
- სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევის კვლევაში მონაწილეობის მიღება საჭიროებისამებრ;
- ცვლილების მართვასთან დაკავშირებულ მსჯელობებში ჩართულობა, როდესაც ამ ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიონ დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;
- მენეჯერებისთვის რჩევების მიცემა სამუშაო ჯგუფებში დასაქმებულთა კეთილდღეობის თაობაზე.

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები შესაძლოა შეითავსოს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ოფიცერმა.

1.4 სწავლება

ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების (H.S.) მენეჯერი განსაზღვრავს სწავლების ჩატარების საჭიროებას და ორგანიზებას გაუწევს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე დასაქმებულთა გადამზადებას, საჭიროების მიხედვით.

1.5 ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება

ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის შეფასების მიზანია სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ყოველი აღმოჩენილი საფრთხისთვის სათანადო მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფა დასაქმებულთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის დასაცავად.

ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის ღონისძიებები საჭიროების შემთხვევაში უნდა გატარდეს მართვის შემდეგი იერარქიით, იმ თანმიმდევრობით, თუ რომელი ღონისძიება არის პრიორიტეტული:

- აღმოფხვრა (საფრთხის მოცილება)
- ჩანაცვლება (საფრთხის ჩანაცვლება სხვა ნაკლებ სახიფათო საფრთხით, მაგ: სახიფათო ქიმიური ნივთიერების ჩანაცვლება სხვა ქიმიური ნივთიერებით, რომელიც არ არის სახიფათო)
- იზოლაცია (საფრთხის იზოლირება პერსონალისაგან, მაგალითად: ხმაურიანი აღჭურვილობის სხვა ადგილზე გადატანა)
- საინჟინრო კონტროლი (მაგ: დანადგარ-მექანიზმების დაცვა)
- ადმინისტრაციული კონტროლი (მაგ: სწავლების, პოლიტიკისა და პროცედურების უზრუნველყოფა, ნიშნების განთავსება)
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (მაგ: ყურების დამცავი საშუალების გამოყენება, თვალების დაცვა, უსაფრთხოების ჭილეტები ამრეკლავი ხაზებით).

რისკების შეფასების შედეგების დოკუმენტირდება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დადგენილ ფორმაში და ყოველ 10 დღეში ერთხელ გადაეგზნება, როგორც პროექტის

მენეჯმენტს ისე სამუშაოს შემსრულებელი ჯგუფის ხელმძღვანელს (სუპერვაიზერს, ინჟინერს).

ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების გადაჭრა უნდა მოხდეს დასაქმებულებთან, მათ წარმომადგენლებთან და/ან მენეჯერებთან კონსულტაციების გზით. თუ პრობლემის გადაჭრა ვერ ხერხდება, მისი გადამისამართება მოხდება ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან. ყველა საკითხი, რომელიც გადაუჭრელი რჩება წინა ჩამოთვლილი სიტუაციების შემდეგ შეიძლება გაიგზავნოს პროექტის მენეჯერთან.

თუ საკითხის გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა ყველა გონივრული საშუალება და საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება, საკითხთან დაკავშირებულ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა მან დანიშნოს სპეციალური ინსპექტორი საკითხის მოგვარებაში დასახმარებლად.

1.6 საფრთხის/დაშავების/ინციდენტის შესახებ ანგარიშგება

1.6.1 საფრთხის, დაშავების ან ინციდენტის შესახებ ანგარიშგების გზები:

საფრთხის/დაშავების/ინციდენტის შემთხვევაში ყველა დასაქმებულს, კონტრაქტორებს ჩათვლით ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინონ პროექტის HS მენეჯერს დაუყოვნებლივ დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

- ნებისმიერი სიმძიმის ინციდენტი ექვემდებარება შესაბამის ანგარიშგებას;
- ინციდენტის შეტყობინება ხორციელდება პროექტის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმის მიხედვით როგორც შიდა მენეჯმენტთან ისე სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან.
- პროექტს გააჩნია თავისი შიდა შეტყობინების ფორმა. ფორმა უნდა შეიცავდეს მაშინაც კი, როდესაც დაშავებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ საქმე გვაქვს პოტენციურად შესაძლო დაშავებასთან მიახლოებულ შემთხვევასთან (near miss).
- პროექტზე მომხდარი ინციდენტის მოკვლევა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ 10 დღიან ვადაში. მოკვლევისთვის გამოიყენება ასევე შესაბამისი დამტკიცებული ფორმა. მოკვლევის დასრულების შემდეგ ის გადაეგზავნება პროექტის მენეჯერს, ფონდის წარმომადგენელს და სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურას (შრომის ინსპექტირების დეპარტამენტს)
- სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან ინციდენტის შეტყობინება ხდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით შესაბამისი ფორმით. ინციდენტის მოხდენის მომენტიდან 24 საათის მანძილზე.

საფრთხის/დაშავების/ინციდენტის აღრიცხვის ჟურნალი, ანგარიშგებისა და მოკვლევის ფორმები მოცემულია **დანართში 2**.

1.7 პირველადი დახმარება

პროექტს პირველადი დახმარების გაწევისთვის დაქირავებული ჰყავს პროფესიონალი ექიმი რომელიც იმყოფება ობიექტზე და მუდმივ მზადყოფნაშია პირველადი დახმარება

აღმოუჩინოს ნებისმიერი სიმძიმის დაზიანების მქონე პიროვნებას. ამასთანავე პროექტს აქვს პროცედურები რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნის შესაბამისად. ამ პროცედურებში შედის:

- პროექტის ექიმი იმყოფება სამუშაო უბანზე პირველადი დახმარების გაწევაში დასახმარებლად;
- ექიმმა უნდა შეინახოს ჩატარებული პირველადი დახმარების შესახებ ჩანაწერი, რომლის შესახებ ანგარიშგებას რეგულარულად მოახდენს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ინჟინრის წინაშე, რაც მიზნად ისახავს პირველადი დახმარების ღონისძიებების განახლებაში დახმარების გაწევას პასუხისმგებელი პირის მიერ.

გარდა პროექტის ექიმისა პროექტზე ასევე არიან კვალიფიციური პირველადი დახმარების ტრენინგის მქონე პირები რომელთა გადამზადებაც მოხდება პერიოდულად საჭიროებიდან გამომდინარე

ბახვი 1 ჰესის პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო მონაცემები გამოკრულია ყველა საინფორმაციო დაფაზე.

1.8 ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სწავლება და შესავალი ინსტრუქტაჟი

1.8.1 სწავლება

პროექტის განმახორციელებელი კომპანია იღებს ვალდებულებას ჩაატაროს შესაბამისი სწავლებები (ტრენინგები) დასაქმებულთა უნარებისა და ცოდნის ასამაღლებლად, რომელიც მათ სჭირდებათ ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ვალდებულებების შესასრულებლად. სწავლება იყოფა სამ კატეგორიად

პროექტის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ძირითადი წესები: ტრენინგი რომელიც ყველა დასაქმებულმა უნდა გაიაროს სამსახურში აყვანიდან პირველივე დღეებში მანამ სანამ ის შევა სამშენებლო მოედანზე. ტრენინგი მოიცავს ზოგად ინფორმაციას პროექტზე მიმდინარე ყველა ტიპის სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების შესახებ, ობიექტზე უსაფრთხოდ ყოფნის და მუშაობის წესებს, ასევე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას და შეტყობინების სისტემას.

კონკრეტულ რისკთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სწავლება - ეს სწავლება განკუთვნილია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კონკრეტულ რისკთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებლებისთვის ან ამ საქმიანობის მაკონტროლებლებისთვის, მაგ: პირველად დახმარებასთან დაკავშირებული სწავლება, სწავლება სახიფათო ნივთიერების შესახებ, სწავლება ხელით შესასრულებელ სამუშაოებზე, სიმაღლეზე მუშაობა, დახურულ სივრცეში სამუშაოს შესრულება, ექსკავაცია, აწევითი სამუშაოები, აფეთქება და სხვა

1.8.2 სწავლების შესახებ დოკუმენტაცია

სწავლების შესახებ ჩანაწერების შენახვა უნდა მოხდეს როგორც სწავლების ჩატარების და კომპეტენციის შეფასების მტკიცებულება. სწავლების გავლის შემდეგ ყველა მსმენელი აწერს ხელს რითაც ისინი ადასტურებენ მათ დასწრებას. დასწრების ფორმა შეესაბამება სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტს.

1.8.3 ყოველდღიური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ცალკეული სამუშაოს შესასრულებლად

ყველა მენეჯერი და დასაქმებული უნდა იყოს ინფორმირებული სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციით. ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ყოველდღიური ინსტრუქტაჟი საშუალებას აძლევს დასაქმებულებს მიიღონ ინფორმაცია იმ დღის კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების შესახებ. როგორ უნდა დაიცვან თავი დაზიანებისგან, რაზე გაამახვილონ ყურადღება, როგორ გამოიყენონ სხვადასხვა ხელსაწყოები უსაფრთხოდ და ა.შ. ინსტრუქტაჟის დასრულების შემდეგ სამუშაოს ყველა მონაწილე აწერს ხელს დასწრების ფურცელს.

1.9 რისკის მართვა და აღრიცხვა

რისკის შეფასება წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასების და რისკის მართვის სისტემურ პროცესს, რომლის მიზანია ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა კომპანიის მენეჯერების, დასაქმებულების, ვიზიტორებისა და კონტრაქტორებისთვის.

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, -მ შეიმუშავა რისკის მართვის მიდგომა ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის მხარდასაჭერად. ამ მიდგომის მიხედვით, საფრთხის აღმოჩენის, რისკის შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის, მართვის ღონისძიებების გატარების და მათი ეფექტურობის დადგენის პროცესში ერთვება ყველა მენეჯერი და დასაქმებული.

ყველა დასაქმებულის პასუხისმგებლობაში შედის მის სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული რისკის მართვაში მონაწილეობა. კომპანიის მიერ გამოყენებული რისკის მართვის სტრატეგია მოიცავს შემდეგს:

- ბაზვი 1 ჰესის -ს სამუშაო გარემოს რეგულარული შემოწმება საფრთხის აღმოჩენის მიზნით;
- ყოვლისმომცველი რისკის აღმრიცხველი ჟურნალის არსებობა, რომელშიც მოცემული იქნება პროექტის საქმიანობასა და ოპერაციებთან დაკავშირებული ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკების დეტალები;
- ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები;
- ახლად-შესყიდული აღჭურვილობის რისკის შეფასება;
- რისკის შეფასება სამუშაო პროცესში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში;
- საფრთხის, დაშავების, ინციდენტის შესახებ ანგარიშგების პროცედურა;
- ინციდენტის მოკვლევა;
- ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე უსაფრთხოების ანალიზი კომპანიის კონკრეტულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელშიც შედის:

- გზის გაყვანის სამუშაო
- მილსადენის გათხრა,
- ძალური კვანძების აშენება
- მილის ინსტალაცია
- ელექტრომექანიკური და სამონტაჟო სამუშაო
- აფეთქებითი სამუშაოები
- დახურულ სივრცეში შესასრულებელი სამუშაოები
- სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოები.

1.9.1 რისკის შეფასება

დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წამოადგენს. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკების შეფასება განხორციელდა, რომლის შედეგადაც კონტრაქტის ფარგლებში მოსალოდნელი საფრთხის და რისკის აღმოჩენა მოხდა და შემუშავდა შესაბამისი ქმედებები. აღნიშნული შეფასების საფუძველზე რისკის შემცირების ღონისძიებები განისაზღვრა მეთოდების/პრაქტიკის, ავარიული სიტუაციების გეგმების და სხვა დაგეგმილი ზომების გატარების საშუალებით. ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ინჟინერი და უბანზე ჯანდაცვის და უსაფრთხოების საკითხების წარმომადგენლები გადახედავენ რისკების შეფასებას უბანზე სამუშაოს მობილიზაციის დაწყებამდე და თითოეული მათგანი პასუხისმგებელი იქნება სამუშაოს ფარგლებში მომუშავე მთელი პერსონალისთვის რისკის შეფასების შესახებ ინფორმაციის გადაცემაზე. ახალი საფრთხეების აღმოჩენის შემთხვევაში და/ან სამუშაოს შესრულების გეგმაში ცვლილებების შეტანის დროს, საჭიროა რისკის შეფასებისთვის სამუშაო ადგილზე განმეორებითი ვიზიტის განხორციელება და/ან შესრულებული რისკის შეფასების შევსება. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების წარმომადგენელი განიხილავს და დაამტკიცებს შეტანილ ცვლილებებს. რისკის შეფასების დროს დადგენილი უსაფრთხოების ზომები და ღონისძიებები საფუძვლად დაედება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შემოწმების/აუდიტის ფორმას, რომელიც უნდა შეივსოს პროექტის განხორციელების პერიოდში.

1.9.2 რისკის მართვის პროცესი

ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის მართვა უნდა მოხდეს ყველა იმ ქმედებასთან დაკავშირებით, სადაც მოსალოდნელია ზიანი, მათ შორის:

- სამუშაოს დაწყებამდე
- ახალი აღჭურვილობის, პროცედურის ან პროცესის დანერგვამდე;
- ახალი აღჭურვილობის, პროცედურის ან პროცესის მოდიფიცირების დროს.

ნაბიჯი 1: საფრთხის აღმოჩენა

საფრთხე არის დაშავების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან ავადმყოფობის წყარო ან პოტენციური წყარო. საფრთხის აღმოჩენა არის ნებისმიერი ისეთი ვითარების და მოვლენის აღმოჩენის პროცესი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დაშავება ან ავადმყოფობა. საფრთხის აღმოჩენის პროცესი გულისხმობს სამუშაო ადგილის/დავალეების შესწავლას სამუშაოსთვის დამახასიათებელი საფრთხის აღმოჩენის მიზნით. დავალება შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: ხელსაწყოების, აღჭურვილობის,

სახიფათო ქიმიური ნივთიერებების გამოყენება, ხალხთან ურთიერთობის მოგვარება, საგნების აწევა/გადატანა, სამშენებლო სამუშაოები და სხვ.

ნაბიჯი 2: რისკის შეფასება

საფრთხიდან მომავალი რისკის შეფასებით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია საფრთხის მოხდენის შემთხვევაში დამდგარი შედეგი: გამოიწვევს თუ არა ის სერიოზულ დაშავებას, ავადმყოფობას თუ გამოიწვევს მცირე დაზიანებას. შემდეგ უნდა განისაზღვროს საფრთხის მოხდენის ალბათობა - თუ რამდენად არის ის მოსალოდნელი - მაღალი ალბათობა, არ არის მოსალოდნელი თუ რაღაც მათ შორის. განსახილველი თემები მოიცავენ შემდეგს:

- რამდენად ხშირად სრულდება დავალება
- რამდენად ხშირად არიან ადამიანები საფრთხესთან ახლოს
- რამდენი ადამიანი არის საფრთხესთან ახლოს დროის კონკრეტულ მონაკვეთში
- ჰქონდა თუ არა შემთხვევას ადგილი მანამდე
- „შემთხვევის მოხდენასთან მიახლოება“ თუ ყოფილა ('near misses')

რისკის მნიშვნელობის განსასაზღვრად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

მენეჯერის, დასაქმებულის, კონტრაქტორის ან სამუშაო ადგილის ვიზიტორის მიერ საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში, კომპანია მოითხოვს, რომ საფრთხის აღმოფხვრა ან შემცირება უნდა მოხდეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გზით.

- ნაბიჯი 1: სიმძიმის განსაზღვრა - თუ რამდენად მძიმედ შეუძლია საფრთხეს გამოიწვიოს ვინმეს დაშავება;
- ნაბიჯი 2: ალბათობის განსაზღვრა - თუ როგორია დაშავების მოხდენის ალბათობა;
- ნაბიჯი 3 & 4: რისკის უპირატესობის აღმნიშვნელი ქულის განსაზღვრა - საპასუხო ქმედებებში პრიორიტეტის განსასაზღვრად;
- ნაბიჯი 5: საფრთხის მართვის იერარქიის გამოყენება;
- ნაბიჯი 6: უნდა განისაზღვროს თუ ვინ, როგორ და როდის განახორციელებს საფრთხის მართვის ეფექტურობის შემოწმებას და განახლებას.

ნაბიჯი 1: სიმძიმის განსაზღვრა - თუ რამდენად მძიმედ შეუძლია საფრთხეს გამოიწვიოს ვინმეს დაშავება ან რამდენად ავად შეიძლება გახდეს ვინმე? შემოხაზეთ		ნაბიჯი 2: ალბათობის განსაზღვრა - თუ როგორია დაშავების მოხდენის ალბათობა; შემოხაზეთ.			
		მოხდენის მაღალი ალბათობა, შეიძლება ხშირად მოხდეს	მოსალოდნელია, შეიძლება მოხდეს პერიოდულად	არ არის მოსალოდნელი, შესაძლოა მოხდეს, მაგრამ იშვიათად	მოხდენის ძალიან დაბალი ალბათობა, შესაძლოა არასოდეს მოხდეს
ფატალური შემთხვევა ან მუდმივი	C1	ძალიან მაღალი რისკი	ძალიან მაღალი რისკი	მაღალი რისკი 5	მნიშვნელოვანი რისკი

უნარშეზღუდულობის ან ავადობის გამოწვევა		6	6		4
ხანგრძლივი ავადმყოფობა ან სერიოზული დაზავება	C 2	მაღიან მაღალი რისკი 6	მაღალი რისკი 5	მნიშვნელოვანი რისკი 4	საშუალო რისკი 3
სამედიცინო დახმარება და რამდენიმე დღიანი შვებულება	C 3	მაღალი რისკი 5	მნიშვნელოვანი რისკი 4	საშუალო რისკი 3	დასაშვები რისკი 2
პირველადი დახმარება	C 4	მნიშვნელოვანი რისკი 4	საშუალო რისკი 3	დასაშვები რისკი 2	დაბალი რისკი 1

ნაბიჯი 3: რისკის უპირატესობის აღმნიშვნელი ქულა განსაზღვრავს საჭირო საპასუხო ქმედებებსა და რეაგირების ღონისძიებებს

საფეხური 3 - რისკის პრიორიტეტულობის დონე	საფეხური 4 - ქმედება და რეაგირება
6 მაღიან მაღალი რისკი	საქმიანობის შეწყვეტა - უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა მყისიერი მოქმედება. საქმიანობის განახლებამდე უზნის მენეჯერმა უნდა განსაზღვროს უსაფრთხოების ღონისძიებები.
5 მაღალი რისკი	სიფრთხილით მოქმედება - სავალდებულოა მოსალოდნელი ან არსებული რისკის შესახებ უზნის მენეჯერის მყისიერი ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
4 შესამჩნევი რისკი 3 საშუალო რისკი	ინფორმირებულობა - ჯანმრთელობის დაზიანების ან ავადმყოფობის პრევენციის მიზნით საჭიროა რაც შეიძლება სწრაფი მოქმედება. მიმდინარე ცვლაში ან მომდევნო ცვლაში უნდა მოხდეს პასუხისმგებელი მენეჯერის ინფორმირება აღნიშნული რისკების შესახებ.
2 დასაშვები რისკი	შესაძლებლობის შემთხვევაში იმოქმედეთ რუტინული პროცედურების მიხედვით.
1 დაბალი რისკი	პასუხისმგებელმა მენეჯერმა უნდა განახორციელოს აღნიშნული რისკების აღრიცხვა, მონიტორინგი და კონტროლი.

ნაბიჯი 4: საფრთხის მართვა

საფრთხის მართვა - მისი მიზანია უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად განხორციელებულ იქნას ყველაზე საიმედო მართვის ღონისძიებები, და არ მოხდეს მხოლოდ დასაქმებულების უსაფრთხოდ მუშაობაზე, პროცესების გათვალისწინებასა და აღჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენებაზე დაყრდნობა. უმეტეს შემთხვევაში, საუკეთესო გადაწყვეტა იქნება მართვის რამდენიმე სტრატეგიის გაერთიანება.

მართვის სტრატეგიის იერარქია (პრიორიტეტების მიხედვით):

- საფრთხის აღმოფხვრა; მაგ: აღჭურვილობის ხმარებიდან ამოღება; იმ ქიმიური ნივთიერებების განთავსება, რომელიც არ არის საჭირო;
- ჩანაცვლება; მაგ: არა-სახიფათო ქიმიური ნივთიერების გამოყენება; სხვა დანადგარის გამოყენება, რომელსაც შეუძლია იგივე სამუშაოს შესრულება;

- იზოლირება; მაგ: ხმაურის გამომწვევი მანქანა-დანადგარების დახურულ კაბინაში განთავსება;
- ტექნიკური კონტროლი; მაგ: აღჭურვილობის სხვაგვარად დაპროექტება; ამწევი დანადგარის უზრუნველყოფა ხელით მუშაობის შესამცირებლად;
- ადმინისტრაციული კონტროლი; მაგ: სამუშაოს ცვალებადობა, სამუშაოს როტაცია, სწავლება.
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; მაგ: ხელთათმანები, ყურების, თვალების დამცავი საშუალებები.

ნაბიჯი 5: პროცესის შემოწმება

საჭიროა პროცესის მუდმივად შემოწმება მართვის ღონისძიებების მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით და სამუშაოს შესრულების უფრო უსაფრთხო გზების მოძიების მიზნით.

1.9.3 რისკის შეფასების დოკუმენტაცია

ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის შეფასებისთვის მოთხოვნილი დოკუმენტაცია დამოკიდებული იქნება შეფასებულ ოპერაციასა თუ ქმედებაზე. კომპანიის სხვადასხვა აქტივობის თანმხლები რისკის შესაფასებლად საჭიროა ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის შეფასების ფორმის გამოყენება.

ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის შეფასების ნიმუში და შეფასების პროცედურა მოცემულია.

1.9.4 ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის აღრიცხვის ჟურნალი

რისკის შეფასების მონაცემები, რომელიც შეგროვდება რისკების აღმოჩენის, შეფასების და მართვის შედეგად, თავმოყრილი იქნება ბაზვი 1 ჰესის-ს რისკების აღრიცხვის ერთიან ჟურნალში. ამ ჟურნალში არის კომპანიის იმ მთავარი რისკების ჩამონათვალი, რომელთა მონიტორინგი და მართვა უნდა მოხდეს. აღნიშნულ ჟურნალს აწარმოებს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერი, რომელსაც უნდა გადასცენ შეტყობინება ახალი საფრთხის აღმოჩენის და გატარებული მართვის ღონისძიებების შესახებ, რათა მან შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს ჟურნალში.

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერის პასუხისმგებლობაა: რისკების აღრიცხვის ჟურნალის მეთვალყურეობა; უზრუნველყოს მართვის ეფექტური ზომების განხორციელება და რისკების რეგულარული მონიტორინგი და გადახედვა.

1.10 საფრთხის შემოწმება სამუშაო ადგილზე

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ბაზვი 1 ჰესი აქტიურად უნდა ჩაერთოს სამუშაო ადგილზე საფრთხის აღმოჩენაში, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დასაქმებულების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება. ასევე კომპანიამ უნდა მოახდინოს ამ რისკების აღმოფხვრა ან მინიმუმამდე შემცირება.

ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერის და/ან დანიშნული მენეჯერის მიერ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში წარმომადგენლებთან (ასეთის არსებობის

შემთხვევაში) ერთად, უნდა განახორციელდეს სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საფრთხეების არსებობაზე შემოწმება რეგულარულად და ნებისმიერ სხვა დროს, როდესაც ამის საჭიროება გამოიკვეთება. საფრთხეზე შემოწმება ხდება ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკის მართვის პროცედურების მიხედვით და დანართებში მოცემული ინფორმაციისა და ანკეტების მიხედვით.

თუ საფრთხის არსებობაზე შემოწმების პროცესში გამოიკვეთა ნებისმიერი სახის საფრთხე, უნდა გატარდეს მართვის ღონისძიებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკის აღმოსაფხვრელად ან მინიმუმამდე შესამცირებლად.

აღნიშნული რეგულარული შემოწმებების გარდა, ყველა მენეჯერმა უნდა განახორციელოს სამუშაო უბნის ყოველკვირეული შემოწმება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში წარმომადგენელთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული შემოწმებების დროს აღმოჩენილი ნებისმიერი სახის საფრთხის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერს და უნდა გატარდეს შესაბამისი სარემედიაციო ღონისძიებები.

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერმა ან შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა უნდა დაარეგისტრიროს საფრთხის არსებობის შემოწმებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

1.11 საჯარო დოკუმენტაცია

- ავარიული სიტუაციების დროს საკონტაქტო გვერდი
- ავარიული სიტუაციების დროს ევაკუაციის გეგმა (გეგმები);
- პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- უბედური შემთხვევის/ინციდენტის შესახებ შეტყობინების დეტალები;
- კომპენსაციისა და სამუშაოზე დაბრუნების შესახებ ინფორმაცია;
- დასაქმებულთა წარმომადგენლობის სია.

2 ნაწილი გ: ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების კონკრეტული სახის მოთხოვნები

2.1 შეუსაბამო ქცევა

ბულინგის, შევიწროების, დისკრიმინაციის და ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება კომპანიაში არ იქნება შეწყნარებული.

ჰესის მენეჯმენტი მოახდენს ფორმალურად წარდგენილი ყველა საჩივრის კვლევას. კომპანიის მიერ მოხდება საჩივრის მოგვარებისთვის ქმედებების განხორციელება. საჩივრის საფუძვლიანობის დადასტურების შემდეგ გატარდება შემდეგი ზომები::

- ბოდიშის მოხდის მოთხოვნა;

- შეუსაბამო ქცევის განმახორციელებელთან დაიდება ხელშეკრულება იმაზედ, რომ ის შეწყვეტს პრობლემურ ქცევას;
- შერიგება/მედიაცია განხორციელდება მესამე, დამოუკიდებელი/მიუკერძოებელი მხარის მიერ, რათა არჩეულ იქნას პრობლემის გადაწყვეტის ორივე მხარისთვის მისაღები გზა.
- დისციპლინარული სასჯელი სიტყვიერი, წერილობითი ან საბოლოო გაფრთხილების ან სამსახურიდან დათხოვნის სახით.
- ძალადობის ყველა ფაქტის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა პოლიციას.

გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული იქნება შემდეგი ფაქტორები:

- შეუსაბამო ქცევის სიმძიმე ან სიხშირე;
- ჰქონდა თუ არა ადგილი ადრე ინციდენტებს ან იყო თუ არა გაფრთხილება მიცემული მანამდე.

2.2 კონტრაქტორები

ბახვი 1 ჰესი იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა დასაქმებულის, მათ შორის კონტრაქტორების და ქვე-კონტრაქტორებისთვის, სადაც ისინი შეძლებენ მათი მოვალეობის შესრულებას.

კონტრაქტორები სავარაუდოდ არიან დასაქმებულები, რომლებიც კომპანიამ დაიქირავა კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად; მასალის მიწოდება/გატანა; კომპანიის სამუშაო უბნებზე სარემონტო და ტექნომსახურების სამუშაოების შესრულება; აფეთქებითი სამუშაოები და სხვ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კონტრაქტორებმა უნდა დააკმაყოფილონ ჩამოთვლილი მოთხოვნები:

- სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი გამოცდილების ქონა;
- უნდა ფლობდეს ყველა საჭირო ნებართვას, ლიცენზიას, რეგისტრაციას და დაზღვევას, რომელიც აუცილებელია სამუშაოს უსაფრთხოდ და შესაბამისი რეგულაციების მიხედვით შესრულებისთვის;
- ყველა იმ პოტენციური საფრთხის შესახებ შეტყობინება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს განხორციელების ადგილის მდებარეობასთან ან მის გამოყენებასთან;
- ავარიული სიტუაციების დროს გამოსაყენებელი პროცედურების გაცნობა;
- თუ მიზანშეწონილად მიიჩნევა და თუ შესასრულებელი სამუშაო მაღალ რისკს შეიცავს, უნდა მოხდეს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე შესავალი ინსტრუქტაჟის კონტრაქტორებისთვის გათვალისწინებული ფორმის შევსება.

ყველა კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს კომპანიის ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელთა მათთვის გაცნობა მოხდება შეთანხმების გაფორმებამდე.

2.3 სახიფათო ნივთები და სახიფათო ნივთიერებები

სახიფათო ნივთიერებად ითვლება ქიმიური ნივთიერებები, ორგანული მასალა და სხვა ნივთიერება, რომელიც ქმნის ჯანმრთელობის საფრთხეს ასეთ ნივთიერებებთან მუშაობის დროს. მათში შედის, წებო, საღებავი, გამხსნელები, დანამატები, საწმენდი ხსნარი, ქიმიკატები, აალებადი და სახიფათო ნივთები. სახიფათო საგნებად ასევე ითვლება ისეთი ნივთიერება, რომლებიც ფეთქებადი და აალებადი ხასიათის არის, რომელთა შენახვა უნდა მოხდეს დანიშნულებისამებრ.

ყველა ქიმიური ნივთიერება შეტანილი იქნება სახიფათო ნივთიერებების ჟურნალში; ყველა ნივთიერებას ჟურნალში თან უნდა ახლდეს უსაფრთხოების მონაცემების მოქმედი ფურცელი (MSDS). დაღვრის ან აფეთქების შემთხვევაში, ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დასაქმებულისთვის მაშინაც კი, თუ მათ მიერ უშუალოდ არ მოხდება ქიმიური ნივთიერებების გამოყენება. გამოსაყენებლად საჭირო სახიფათო ნივთიერებების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

სახიფათო ნივთიერებების ჟურნალი შემუშავდება კომპანიის მიერ შესყიდული ან გამოყენებული ნებისმიერი ნივთიერების აღრიცხვის მიზნით. ჟურნალის გადამოწმება რეგულარულად მოხდება.

2.4 ელექტრო-უსაფრთხოება

ელექტრომოწყობილობის უსაფრთხო მდგომარეობის დარღვევამ ან აღჭურვილობის გამოყენებამ მწარმოებლის მითითებების შეუსაბამოდ, შეიძლება გამოიწვიოს დასაქმებულების ან სხვა მხარეების დაშავება ან სიკვდილი.

საჭიროა ყველა ელექტრომოწყობილობის დაზიანებისგან დაცვა, მათი უსაფრთხოდ გამოყენება და რეგულარული შემოწმება. გარდა ამისა, არის კიდევ სხვა მოთხოვნები, რომლებიც გასათვალისწინებელია „კონკრეტულ ელექტრომოწყობილობასთან“ მუშაობისას. ეს მოთხოვნები მოიცავს ტესტირებისა და აღრიცხვის და უსაფრთხოების ჩამრთველებთან მიერთების კომბინაციას.

საწარმოო ელექტრომოწყობილობის კომპეტენტური პირის მიერ რეგულარული შემოწმებითა და დატესტვით შესაძლებელია ამ აღჭურვილობის უსაფრთხო ოპერირების მიღწევა. ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობა მოითხოვს ელექტრომოწყობილობის შესაბამისი რეგულაციების მიხედვით შემოწმებასა და დატესტვას. მხოლოდ უფლებამოსილი ელექტრიკოსების მიერ უნდა მოხდეს მოწყობილობის სამონტაჟო, შემოწმების, დატესტვისა და მარკირების სამუშაოების შესრულება.

2.4.1 დიფერენციალური ამომრთველები:

მოწყობილობებზე დიფერენციალური ამომრთველების (RCD) დაყენებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს ელექტროტრავმის რისკი. დიფერენციალური ამომრთველი (RCD) (რომელიც ასევე ცნობილია როგორც ავარიული გამომრთველი) აფიქსირებს დენის გადინებას. როდესაც ეს ხდება, RCD მყისიერად თიშავს დენს და მცირდება სერიოზული დაზიანების რისკი.

2.4.2 ალჭურვილობა, რომელიც არ არის უსაფრთხო: :

ის ალჭურვილობა, რომელიც აღმოჩნდება, რომ არ არის უსაფრთხო, დაუყოვნებლივ უნდა ამოიღონ მომსახურებიდან და მას უნდა გაუკეთდეს შემდგომი გამოყენების ამკრძალველი ნიშანი. ასეთი ალჭურვილობის განთავსების, განადგურების ან რემონტზე უფლებამოსილი თანამშრომლის ან კომპეტენტური პირის მიერ მისი შეკეთების მიზნით შესაბამისი ზომების მიღება არის საჭირო.

2.5 დახურული სამუშაო სივრცე

ყველა დახურული სივრცის შესასვლელში გაკეთებულია წარწერა ამ სივრცეში მკაცრად გაკონტროლებული დაშვების თაობაზე. ამ სივრცეში შესასვლელად საჭიროა ყოველ ჯერზე დახურულ სივრცეში შესვლის ნებართვის წარდგენა. დასაქმებული ან კონტრაქტორი ვერ მიიღებს კომპანიის რომელიმე დახურულ სივრცეში მუშაობის ნებართვას, სანამ არ გაივლის სწავლებას და არ დაექვემდებარება მეთვალყურეობას. დახურულ სივრცეში მუშაობის პროცესს აუცილებლად მუდმივად უნდა ახლდეს გადამზადებული კადრი. დახურული სივრცის არსებობის და მასში შესვლის ნებართვის აღმრიცხველი ჟურნალი უნდა ინახებოდეს ოფისში.

2.6 სიმაღლიდან ვარდნა

ვარდნით გამოწვეული სერიოზული დაშავების რისკი არსებობს მიწის ზედაპირიდან სიმაღლეზე მუშაობისას. სიმაღლეზე მუშაობა ნებადართულია მხოლოდ გამოცდილი და გადამზადებული პერსონალისთვის. მუშახელი არ დაიშვება სიმაღლეზე სამუშაოდ შესაბამისი ზოგადი დამცავი საშუალებების და/ან ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების გარეშე, როგორცაა უსაფრთხოების ქამრები მთელი სხეულისთვის, ორმაგი ღვედი, ვარდნის საწინააღმდეგო ალჭურვილობა, სტატიკური თოკები და სხვ. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. სადაც საჭიროა, სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნება ხარაჩოები, კიბეები, საფეხურები და მოაჯირები. უბანზე უსაფრთხოების საკითხებში წარმომადგენლის მიერ მოხდება სამუშაოების მონიტორინგი.

კომპანია უზრუნველყოფს შემდეგს:

- დასაქმებულები, რომლებიც მუშაობენ სიმაღლეზე სრულად ფლობენ ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის და რისკის მართვის პროცედურების შესახებ;
- უზრუნველყოფილი და გამოყენებული იქნება ვარდნის შემაკავებელი ან ვარდნის საწინააღმდეგო ქამრები;
- ვარდნის შემაკავებელი ან ვარდნის საწინააღმდეგო ქამრების გამოყენებაზე დასაქმებულებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი;

კონტრაქტორები უზრუნველყოფენ მათ მიერ შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

- სიმაღლეზე მუშაობისას რისკის მართვის პროცედურების ზედამხედველობა და მათი გამოყენება;
- მოთხოვნილი ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება იქ, სადაც მითითებულია.

სიმაღლეზე მუშაობის დროს გასათვალისწინებელი დეტალური ტექნიკური მოთხოვნებისთვის იხილეთ **დანართი 12**. ყველა სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაო განხორციელდება „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

2.7 ხელით შესასრულებელი სამუშაო

სამუშაოს ხელით შესრულება გულისხმობს ნებისმიერ დავალებას, რომელიც საჭიროებს რაიმე სახის საგნის ან ვინმეს მიწოლას, გაწევას, აწევას, წაღებას, გადატანას, დაჭერას ან დაწევას. ხელით შესასრულებელი სამუშაო გულისხმობს განმეორებით ქმედებებს, ერთ პოზიციაში დაყოვნებას და შესაძლოა დაექვემდებაროს ვიზრაციის ზემოქმედებას. სამუშაოს ხელით შესრულებასთან დაკავშირებული ტრავმები მოიცავს განმეორებით დაჭიბულობას, კუნთების დაზიანებას, მყესებისა და მარღვების დაშავებას, სახსრების დაზიანებას და ჩამოვარდნილი საგნებით გამოწვეული ტრავმებს.

ჰესის მშენებლობისას იმ საფრთხეების მართვა, რომელიც თან ახლავს სამუშაოს ხელით შესრულებას, ხდება რისკის მართვის პროცესის საშუალებით, ხელით მუშაობის შედეგად გამოწვეული დაშავების პრევენციის ან მინიმუმამდე შემცირების მიზნით. აღნიშნული პროცესი გულისხმობს რისკის შეფასებას სამუშაოს ხელით შესრულების დროს, წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავებას, პრობლემის გადაჭრის ხელსაყრელი გადაწყვეტის შერჩევას და განხორციელებას, და ამ გადაწყვეტის შესრულების ეფექტურობის შემდგომ შემოწმებას.

სამუშაო გარემოში სამუშაოს ხელით შესრულების ნიმუში წარმოდგენილია ქვემოთ, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

- აღჭურვილობის აწევა და გადატანა;
- სამშენებლო მასალის აწევა და გადატანა;
- მიწის სამუშაოები;
- მიმდინარე, ზოგადი სარემონტო სამუშაოები.

2.7.1 სამუშაოს ხელით შესრულებით გამოწვეული ტრავმატიზმის პრევენცია

- ტრავმატიზმის რისკის შესამცირებლად საჭირო ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. თუ ეს შესაძლებელია, მუდმივი ცვლილებების შეტანა (როგორიცაა სამუშაო ადგილის მდებარეობა, ხელსაწყოები და აღჭურვილობა);
- საჭიროზე მეტი მასალის განთავსების თავიდან არიდება;
- მექანიკური საშუალებების უზრუნველყოფა (ჯალამბარები);
- სამუშაოს შესრულების რეკონსტრუქცია (როგორიცაა სხვადასხვა სამუშაოზე მომუშავე მუშახელი/როტაცია);
- ისეთი ცვლილებების აღმოჩენა, რომელთა განხორციელება მყისიერად არის შესაძლებელი, და ისეთების - რომელთა განხორციელებასაც დრო სჭირდება;
- რისკის მართვის მიღებული გადაწყვეტილების დოკუმენტირება თითოეული შეფასებული სამუშაოსთვის, და ცვლილებებისთვის ვადების შემუშავება;
- მანამ, სანამ დაგეგმილი ცვლილებები მუდმივი გახდება, საჭიროა მათი გამოცდა/განხილვა მუშახელთან კონსულტაციების გზით;

- ახალი აღჭურვილობის შემოტანის შემთხვევაში, სწავლების უზრუნველყოფა.

2.7.2 ავტომატურიდან დატვირთვა/გადმოტვირთვის სამუშაოები

- სადაც შესაძლებელია გამოიყენეთ ამწე აღჭურვილობა; თუ ეს არ არის შესაძლებელი, განახორციელეთ შემდეგი ქმედებები:
- სათანადოდ მოემზადეთ სამუშაოს შესასრულებლად, გახურდით, განსაკუთრებით ავტომატურად დიდი ხნის ჯდომის შემდეგ;
- მოაცურეთ ტვირთი რამდენადაც შესაძლებელია ახლოს მის აწევამდე;
- სწორად დაიჭირეთ ზურგი და მოხარეთ მუხლები ტვირთის აწევისას;
- ტვირთის დადებისას იგივე პოზიცია შეინარჩუნეთ, რაც აწევისას გქონდათ;
- ხშირად გამოსაყენებელი ნივთები შეძლებისდაგვარად მოსახერხებელ სიმაღლეზე იქონიეთ; წელსა და მხარს შორის სიმაღლეზე, რაც ამცირებს აწევისას წინ მოხრის საჭიროებას; და
- სადაც შესაძლებელია, გამოიყენეთ ურიკა მოზრდილი და მძიმე საგნების გადასატანად.

2.8 მოწყობილობა

მოწყობილობაში შედის ხელსაწყოები დაწყებული მექანიზირებული და არამექანიზირებული (ელექტრო-ბურღი, ჩაქურჩი), დამთავრებული სამშენებლო მექანიზმებით, საოფისე ავეჯით და სამუშაოს შესრულებისას გამოსაყენებელი ნებისმიერი სხვა აღჭურვილობით.

2.8.1 რისკის მართვა

რისკის მართვის პროცესი წარმოადგენს სისტემურ მეთოდს მოწყობილობის უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფისთვის და ეს პროცესი შეიძლება გაერთიანებული იყოს სამუშაო ადგილის რისკის მართვის სხვა სისტემებთან. აღნიშნული რისკის მართვის მიდგომის გამოყენება უნდა მოხდეს მოწყობილობის შესყიდვამდე, ან მის გამოცვლამდე, ან მისი გამოყენების გზის შეცვლამდე, მოწყობილობის გადაადგილებამდე; ასევე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფამდე.

2.8.2 ტექნოლოგიური და რემონტი

მოწყობილობის ტექნოლოგიური და გაწმენდა უნდა მოხდეს მისი დამპროექტებლის ან მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური პირის მიერ რეკომენდირებული პროცედურების მიხედვით. დაზიანებული მოწყობილობის შემოწმება და შეკეთება ნებადართულია მხოლოდ კომპეტენტური პირისთვის.

საფრთხის შემცველი და/ან მწყობრიდან გამოსული მოწყობილობის ან აღჭურვილობის აღმოჩენა შესაძლებელია მოხდეს მენეჯერის, მუშახელის ან კონტრაქტორის მიერ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, როგორცაა:

- აღჭურვილობის შემოწმება;
- შესაბამისი მენეჯერის წინაშე აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლის შესახებ სიტყვიერი ანგარიშგება;
- საფრთხისა და ინციდენტის შესახებ ანგარიშგება.

საფრთხის შემცველი და/ან მწყობრიდან გამოსული მოწყობილობის ან აღჭურვილობის აღმოჩენის შემდეგ, მის შესახებ ანგარიში უნდა ჩაბარდეს შესაბამის მენეჯერს, რათა მოხდეს

სარემონტო სამუშაოების ორგანიზება. ის მოწყობილობა/აღჭურვილობა, რომელიც ჩაითვადა არასაიმედოდ, საფრთხის შემცველად უნდა გაითიშოს დენის წყაროდან და უნდა მოხდეს მასზე წარწერის მიმაგრება, რომელზეც გარკვევით იქნება აღნიშნული, რომ ეს მოწყობილობა არ არის უსაფრთხო და მისი გამოყენება არ შეიძლება. თუ ეს შესაძლებელია, სასურველია მოწყობილობის/აღჭურვილობის იმ ადგილზე გადატანა, სადაც ის არ იქნება ხელმისაწვდომი.

2.8.3 ჩანაწერების შენახვა

შემოწმების, დატესტვის და მონიტორინგის შესახებ ჩანაწერები ინახება კომპანიაში. ჩანაწერები უნდა მოიცავდნენ, სულ მცირე, შემოწმების, ტექმომსახურების, რემონტის, კალიბრირების და მოდიფიცირების დეტალებს.

2.9 ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE) შესაძლოა მოთხოვნილ იქნას მენეჯერების და დასაქმებულების დასაცავად ზოგადი, კონკრეტული და საფრთხის შემცველი სამუშაოს შესრულების დროს. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არის რისკის კონტროლის ყველაზე ნაკლებად ეფექტური გზა და ყოველთვის წარმოადგენს უკანასკნელ საშუალებას მუშების დასაცავად. პროექტის სამშენებლო ობიექტებზე გამოყენებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

- აირჩინაღი და ნიღაბი;
- ფეხის დამცავი (დამცავი ფეხსაცმელი და ჩექმა);
- სხეულის დაცვა (ამრეკლავი ტანსაცმელი, გრძელმკლავებიანი ტანსაცმელი, ფართოფარფლიანი ქუდი, ხელთათმანები)
- ჩაფხუტი;
- ყურების დამცავი;
- დიელექტრული ხელთათმანი;
- სიმაღლეზე მუშაობისას მთლიანი ტანის ქამარი ღვედით;
- შემდუღებლის ნიღაბი
- სათვალე.

საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულებს მოეთხოვებათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება, სადაც ეს გონივრული და პრაქტიკული იქნება. სხვა მოთხოვნებში შედის:

- დასაქმებულებს უნდა ჩაუტარდეთ სრულფასოვანი სწავლება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უსაფრთხოდ გამოყენების, შენახვის და ტექმომსახურების თაობაზე.
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს, რათა დადგინდეს, რომ ის სწორედ საჭირო სახეობის არის, ერგება მუშახელს და დაუზიანებელია.
- დაუშვებელია ერთჯერადი, დაბინძურებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ხელახლა გამოყენება.

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შენახვის წესების დაცვა.

2.10 მოცურება, ფეხის წამოკვრა და დაცემა

მოცურება, ფეხის წამოკვრა და დაცემა წარმოადგენს სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევების ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სახეობას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არასათანადო სამეურნეო პრაქტიკით, როგორცაა წყლისა და ზეთების დაღვრა. შემთხვევის აღნიშნული სახეობის გამომწვევი ასევე შეიძლება იყოს უწყესრიგოდ განთავსებული მასალა ან სავალი ნაწილის გამოყენება მასალის განთავსებისთვის. მოცურების, ფეხის წამოკვრის და დაცემის შესაძლებლობის შეფასების დროს, საჭიროა ისეთი ადგილების დათვალიერება, რომლებიც მხედველობის არეში არ არის, მაგ: საწყობი, კიბე და საამქრო.

2.10.1 პრევენცია

დაშავების რისკის შემცირება უნდა მოხდეს ქვემოთ ჩამოთვლილი მითითებების შესრულებით:

- სრიალა მიწაზე ან იატაკზე სიარულისგან თავის შეკავება;
- მიწის/იატაკის ზედაპირი წყლისგან და ცხიმისგან გასუფთავებული უნდა იყოს;
- ტერიტორიის რეგულარული დასუფთავება;
- დაღვრის უბნის ან სველი ადგილების ირგვლივ გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;
- არამოცურებადი ფილების ან სხვა არამოცურებადი მასალის გამოყენება იატაკის დასაგებად.
- იმ ადგილებში, სადაც იატაკი მუდმივად სველია, საჭიროა რეზინის ხალიჩების გამოყენება;
- არამოცურებადი ფეხსაცმლის გამოყენება;
- დაღვრის დაუყოვნებლივ აწმენდა;
- წებოვანი ლენტების და მოცურების საწინააღმდეგო საღებავის გამოყენება მოცურებისადმი მდგრადობის გასაზრდელად. ეს მეთოდი დამოკიდებული იქნება არსებული იატაკის ზედაპირზე.
- იატაკის მოწმენდის საშუალებების გამოყენება ზეთისა და ცხიმის მოსაშორებლად.
- აღჭურვილობისთვის სასაწყობო ტერიტორიების გამოყენება; ყუთების, ნაგვის, ჩანთების და ავეჯის სავალ გზაზე, შესასვლელებში და გასასვლელებში დატოვების შედეგად მოსალოდნელი საფრთხისადმი ყურადღება.

2.11 ნარკოტიკული საშუალებებისა და ლკოჰოლური სასმელების გამოყენებასთან დაკავშირებული პოლიტიკა

ბახვი 1 ჰესი იტოვებს უფლებას უარი უთხრას ნებისმიერ დასაქმებულს თუ კონტრაქტორს სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, არ არის სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისთვის შესაბამის მდგომარეობაში.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესრულების მიზნით, კომპანიის თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და ვიზიტორებს ევალებათ შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- კომპანიის საკუთრების ფარგლებში დროის ყველა მონაკვეთში დაუშვებელია ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, თუ ამის ნებართვა თავად ხელმძღვანელობის მიერ არ არის გაცემული და ისიც მხოლოდ სამუშაო დღის ბოლოს. ს. მიერ ალკოჰოლზე ტესტირება მოხდება თანდართული ფორმის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც შემჩნეული იქნება რომ იმყოფება ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ, სამუდამოდ განთავისუფლდება სამსახურიდან.
- კომპანიის საკუთრების ფარგლებში დროის ყველა მონაკვეთში და ყველა ვითარებაში დაუშვებელია ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება;
- თუ, ხელმძღვანელობის აზრით, მუშახელი არ იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლოს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულება, ასეთი მუშახელი გაშვებული/წაყვანილი იქნება სახლში;
- დასქმებული, რომელიც მოიხმარს ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტს, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს მის უსაფრთხოებაზე სამსახურში ყოფნის დროს (გამოიწვიოს ძილიანობა), ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ ხელმძღვანელობას, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულებების გადანაწილება.

2.12 ავტომატური

2.12.1 ალკოჰოლური სასმელები და ნარკოტიკული საშუალებები

CSEEC-ის მენეჯერებმა და დასაქმებულებმა საქმიანობასთან დაკავშირებით არ უნდა მართონ არც პირადი და არც კომპანიის ავტომობილი იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამით არღვევენ საგზაო მოძრაობის წესებს ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნით.

2.12.2 მობილური ტელეფონები

ხელში დასაჭერი მობილური ტელეფონის გამოყენება ავტომობილის მართვის დროს წარმოადგენს უსაფრთხოების რისკს და ეწინააღმდეგება კანონს. მენეჯერებმა და დასაქმებულებმა არ უნდა გამოიყენონ ხელში დასაჭერი მობილური ტელეფონები ავტომობილის ან ნებისმიერი ძრავიანი ტექნიკის მართვის დროს კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე.

2.12.3 უსაფრთხოების ღვედები

პროექტის მოთხოვნაა უსაფრთხოების ღვედების მუდმივად გამოყენება მოძრავ ავტომობილში. მძღოლი პასუხისმგებელია მისი მგზავრების მიერ ღვედების გამოყენებაზე საზოგადოებრივ გზაზე ან კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე მოძრავ ავტომობილში.

2.12.4 ტვირთის სამაგრი ავტომატური

- ტექნიკა ავტომატურად უნდა იყოს მყარად დამაგრებული, რათა თავიდან იქნას არიდებული შეჯახების დროს საგნების გადმოცვენის რისკი და ამით გამოწვეული ნამსხვრევებით გამოწვეული ტრავმირება.
- მგზავრობის დროს, ტვირთის დამჭერი თოკების დაჭიმულობა რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს;
- ავტომატურად ტვირთი თანაბრად უნდა გადანაწილდეს;

- მგზავრების მხარეს უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად კარგად არის საგნები დამაგრებული, რათა შეჯახების ან შემთხვევის დროს არ მოხდეს მათი გადმოცვენა;

დაუშვებელია ავტომანქანის ტვირთმზიდობის გადაჭარბება.

2.13 ინდივიდუალური მუშაობა

დაშავების ან ტრავმატიზმის რისკი ინდივიდუალურად მომუშავე ადამიანთათვის შეიძლება გაიზარდოს, რადგან რთულდება საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების სამსახურებთან დაკავშირება. ავარიული სიტუაცია შეიძლება შეიქმნას დაავადების უეცარი გამოვლინებით, როდესაც ადგილი აქვს სამუშაოსთან დაკავშირებული შემთხვევით გამოწვეულ დაშავებას ან დაავადებას, ცხოველის მიერ თავდასხმას, ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მოხვედრას, ან როდესაც მუშახელი საჭმლისა და წყლის გარეშე დარჩა.

ინდივიდუალური მუშაობის დროს წარმოქმნილი ინციდენტის შედეგები შეიძლება საკმაოდ სერიოზული იყოს, ამდენად მენეჯერებმა და დასაქმებულებმა უნდა შეასრულონ ქვემოთ მოცემული მითითებები თითოეულ ინდივიდუალურ სამუშაოსთან დაკავშირებით:

- მნიშვნელოვან მანძილზე მდებარე სამუშაო ადგილზე მისვლის და სამუშაო ადგილიდან წამოსვლის დროს სატელეფონო ზარის განხორციელება სახლში;
- ხანგრძლივი მგზავრობის დროს მგზავრობის მარშრუტის შემუშავება და მისი დაცვა;
- გამგზავრებისა და ჩამოსვლის დროის წინასწარ შეთანხმება და განსახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- შორეულ ადგილებში მგზავრობისას, ავტომანქანაში უნდა იყოს ავარიული შუქურა;
- მობილური/სატელიტური სატელეფონო ზარის განხორციელება წინასწარ დაგეგმილ დროის მონაკვეთებში;
- პირველადი დახმარების შესაბამისი კომპლექტი;
- ავარიული სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საკმარისი წყლის მარაგი.

2.14 საამფეთქებლო სამუშაოები

საამფეთქებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ბახვი 1 ჰესის მიერ დაქირავებული ლიცენზირებული პერსონალის მიერ, „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის #432 (31.12.2013) დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

2.14.1.1 მიზანი

ასაფეთქებელი ნივთიერებების, საამფეთქებლო მოწყობილობის და სხვა საშუალებების შენახვა, ტრანსპორტირება, მართვა და გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების კონტროლი. პროცედურა ვრცელდება გვირაბის გაყვანისთვის განსახორციელებელ საამფეთქებლო სამუშაოების ყველა უბანზე და ყველა დასაქმებულსა და კონტრაქტორზე.

2.14.1.2 პასუხისმგებლობები

2.14.1.3 ამფეთქებელი/მთავარი ამფეთქებელი

- ფეთქებადი მასალის გატანა, განაწილება და დაბრუნებაზე და საამფეთქებლო მოწყობილობების დოკუმენტირებაზე პასუხისმგებელი პირი;
- ფეთქებადი მასალის სათანადოდ მართვა დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

- საამფეტეებლო სამუშაოების წარმოების უბანზე უნებართვოდ შესვლის აკრძალვა;
- საწყობის მარაგის მართვა (მათ შორის დოკუმენტების) და სისუფთავის დაცვა;
- არ უნდა მოხდეს სხვა პერსონალის უნებართვოდ საწყობში შესვლა;
- ცვლის შეცვლამდე უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრებზე და მწყობრში დადგომაზე დასწრება;
- აფეტეების მაინიცირებელი აღჭურვილობის შემოწმება და გამოცდა/დატესტვა:
 - გამოყენებამდე მათი შემოწმება, არიან თუ არა სრულად დამუხტული;
 - მიწისზედა საამფეტეებლო ყუთი (SBB).
- აფეტეების დრომდე უნდა მოხდეს აღნიშნული ყუთის უსაფრთხო ადგილზე განთავსება;
- უნდა განხორციელდეს ყველა აღჭურვილობის წინა-საოპერაციო შემოწმება მათ გამოყენებამდე;
- ფეტეებადი მასალის სასაწყობე ტერიტორიის ყოველდღიური ვიზუალური შემოწმება შენახვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, სარეველების და სხვა საწვავი და აალებადი ნივთიერებების დროულად მოცილება 10 მ-იან რადიუსში.
- საამფეტეებლო სამუშაოების გუნდის ყოველდღიური მოვალეობების მეთვალყურეობა;
- ყველა სამუშაო უბნის ყოველდღიური ვიზუალური შემოწმების განხორციელება და დოკუმენტირება;
- საამფეტეებლო სამუშაოების განხორციელების უბნის ირგვლივ შესაბამისი ნიშნების სათანადოდ განთავსების უზრუნველყოფა;
- საამფეტეებლო სამუშაოების უფროსთან ერთად, ნაყარი პროდუქციის სახეობის განსაზღვრა, რომელიც დამუხტვის პროცესში უნდა იყოს გამოყენებული;
- საამფეტეებლო სამუშაოების უფროსთან ერთად, კვეთში დაყოვნების განსაზღვრა;
- საამფეტეებლო სამუშაოების უფროსთან ერთად, თვის ბოლოს ფეტეებადი მასალის ფიზიკური ინვენტარიზაცია ჩანაწერების რაოდენობის შესამოწმებლად.

2.14.1.4 საამფეტეებლო სამუშაოების გუნდი

- ფეტეებადი მასალის სათანადოდ მართვა დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- საამფეტეებლო სამუშაოების წარმოების უბანზე უნებართვოდ შესვლის პრევენცია;
- არ უნდა დაუშვას სხვა პერსონალის უნებართვოდ საწყობში შესვლა;
- ცვლის შეცვლამდე უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრებზე და მწყობრში დადგომაზე დასწრება;
- აფეტეების მაინიცირებელი აღჭურვილობის შემოწმება და დატესტვა
- უნდა განხორციელდეს ყველა აღჭურვილობის წინა-საოპერაციო შემოწმება მათ გამოყენებამდე;
- ფეტეებადი მასალის სასაწყობე ტერიტორიის ყოველდღიური ვიზუალური შემოწმება შენახვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, სარეველების და სხვა წვის ნივთიერებების დროულად მოცილება 10 მ-იან რადიუსში.

- ყველა სამუშაო უბნის ყოველდღიური ვიზუალური შემოწმების განხორციელება;
- საამფეთეებლო სამუშაოების განხორციელების უბნის ირგვლივ ბარიკადებისა და შესაბამისი ნიშნების სათანადოდ განთავსება;
- ამფეთეებლის, მთავარი ამფეთეებლის ან საამფეთეებლო სამუშაოების უფროსის მიერ გაცემული სხვა დავალების შესრულება.

2.14.1.5 პროცედურები

ყველა საამფეთეებლო ღონისძიება შეესაბამება აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულ პროცედურებს და ითვალისწინებს პროდუქციისა და აღჭურვილობის მწარმოებლის რეკომენდაციებს.

იკრძალება მოწევა, შედუღება ან ღია ცის ქვეშ ცეცხლის ანთება ასაფეთეებელი მასალისგან 50 მ მანძილზე (გამოიყენება Powergel Magnum).

უფლებამოსილ პერსონალს და ტექნიკას უფლება აქვს შევიდეს აფეთეების უბანზე მხოლოდ სათანადო შეტყობინების გადაცემის შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში, გამყოლის თანხლებით.

შპურების დამუხტვის პროცესში საბურღი სამუშაოები არ განხორციელდება.

კატეგორიულად დაუშვებელია პერსონალის შესვლა ასაფეთეებელი მასალების სასაწყობე ტერიტორიაზე ან აფეთეების უბანზე ჭეჭა-ქუხილის დროს (ელვის შემთხვევაში, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აფეთეების უბანზე, ტერიტორია უნდა გაიწმინდოს და შეიზღუდოს, როგორც გეგმიური აფეთეების დროს. შეზრუდვა მოქმედებს მანამ სანამ არ მოხდება აფეთეების უსაფრთხო დეტონაცია ან არ გადაივლის შტორმი. თუ შტორმი ღამის საათებში ამოვარდება, სამუშაოების უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია ტერიტორიის დაცვაზე, განახორციელებს შეზღუდვის პროცედურებს, სანამ შტორმი არ ჩადგება)

აფეთეების შეტყობინების პროცედურები

- უბნის შესასვლელებთან და ასევე სხვა ლოკაციებზე არსებული აფეთეების შეტყობინების ნიშნები და ბილბორდები განახლდება ყოველდღიურად, ცვლის დასაწყისში, იმ დღის აფეთეების განრიგის მიხედვით;
- აფეთეების წერტილთან მისასვლელი გზები დაიხურება და ყოველგვარ ტექნიკას აკრძალება 350 მეტრის სიახლოვეს მისვლა;
- თუ გარკვეული მიზეზების გამო აფეთეება გადაიდო, საამფეთეებლო სამუშაოების უფროსი და უბნის უსაფრთხოების ოფიცერი აცნობებენ ყველა განყოფილებას და ზემოთ ხსენებულ ორგანოებს აღნიშნულის შესახებ რადიოს ან ტელეფონის საშუალებით;

ასაფეთეებელი მასალების საცავი (საწყობი)

- მოხდება ასაფეთეებელი მასალის სასაწყობე უბნის მარკირება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით, რომლებიც შესამჩნევი იქნება ყველა მხრიდან და მითითებული იქნება მასში დაცული მასალის შემცველობა;

- საწყობში შეიძლება ინახებოდეს მხოლოდ ასაფეთქებელი მასალები და არანაპერწყალწარმომქმნელი აღჭურვილობა (კალმები და ინვენტარის აღრიცხვის მონაცემები), რომელიც გამოიყენება საწყობის ოპერირებისთვის;
- შესანახი კონტეინერები მეხის დაცემისგან დაცული იქნება მეხსარიდის მეშვეობით;
- საწყობის გასაღებს შეინახავს და ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალისთვის, რომელსაც დაამტკიცებს საამფეთქებლო სამუშაოების უფროსი;
- საწყობი საკმარისი მანძილით იქნება დაშორებული ელექტროგადამცემი ხაზებისგან, ისე რომ დაზიანების შემთხვევაში ხაზები საწყობს ვერ შეეხება;
- უზრუნველყოფილი იქნება ასაფეთქებელი მასალების შესანახი ტერიტორიების და საწყობის სისუფთავე და მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდება ნარჩენებისგან, ბუჩქნარისგან, გამხმარი ბალახისგან და ხეებისგან 10 მ რადიუსში ყველა მიმართულებით;
- ასაფეთქებელი მასალის საწყობიდან 100 მ რადიუსში დაუშვებელია საწვავის შენახვა;
- ასაფეთქებელი მასალის სასაწყობე ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ საამფეთქებლო სამუშაოების უფროსის და უსაფრთხოების ოფიცრის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი უფლებამოსილი პერსონალი;
- ფეთქებადი მასალები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და დეტონატორები (ასაფეთქებელი კაფსულები) შეინახება შესანახი კონტეინერების ცალკე განყოფილებაში;
- შესანახი კონტეინერები გამოიყენება მხოლოდ ფეთქებადი მასალების შესანახად. ფეთქებადი მასალის შესანახ კონტეინერში შესაძლებელია შეინახოს მხოლოდ ფეთქებადი მასალა და არანაპერწყალწარმომქმნელი აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება საწყობის ფუნქციონირებისთვის;
- ასაფეთქებელი მასალები ინახება მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში (ყუთებში);
- ასაფეთქებლების და დეტონატორის საცავი, თუ იქ არავინ იმყოფება, მუდმივად უზრუნველყოფილი იქნება ორი საკეტით (კონტეინერი და ღობე) და დაცული იქნება სპეციალური საფრით;
- Powergel Magnum უნდა ინახებოდეს მშრალ ადგილას.
- ხანძარსაქრობები დამონტაჟდება ასაფეთქებელი მასალების საცავის ტერიტორიაზე.

ასაფეთქებელი მასალის ტრანსპორტირება

- ყოველგვარი დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე მოხდება ასაფეთქებელი მასალის ტრანსპორტირება სასაწყობე ტერიტორიაზე ან საამფეთქებლო უბანზე;
- საამფეთქებლო უბნებამდე და პირიქით ასაფეთქებელი მასალების და დეტონატორების გადასაზიდად გამოიყენება დახურული, ჰერმეტიკული კონტეინერები/ყუთები. ასაფეთქებელი მასალები და დეტონატორები განთავსდება ცალკე სატვირთო მანქანაში;
- დაუშვებელია ფეთქებადი მასალებით და დეტონატორებით დატვირთული სატვირთოს გაჩერება საწყობიდან გვირაბის მიმართულებით და პირიქით, როდესაც საჭიროა ზედმეტი მასალის დაბრუნება საწყობში.

ასაფეთქებელი მასალის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ტექნიკა:

- აღჭურვილი იქნება მინიმუმ ორი მრავალფუნქციური მშრალი ქიმიური ცეცხლსაქრობით;

- დაუშვებელია ტრანსპორტირებისას ასაფეთქებელი მასალის განთავსება მძღოლის სალონში. ასაფეთქებელი მასალის მართვისთვის აუცილებელია მხოლოდ კვალიფიციური პერსონალი;
- აღნიშნულ ტექნიკას ყოველთვის ახლავს თანმხლები მასში ასაფეთქებელი მასალის არსებობის დროს:
 - კვალიფიციური პირი, რომელიც ტრანსპორტირების დროს ახორციელებს ასაფეთქებელი მასალების და დეტონატორების კონტროლს;
 - დაუშვებელია ასაფეთქებელი მასალის ღამით დატოვება სატვირთოს ძარაში/სატვირთო სივრცეში.

შპურების დამუხტვა

- საამფეთქებლო სამუშაოების ადგილი/უბანი შეფასდება სულფიდური არელების, ასევე სველი შპურების და არაღრმა შპურების არსებობის თვალსაზრისით და მოხდება ქვემოთ მოცემული შესაბამისი პროცედურების დაცვა;
- ასაფეთქებელი მასალების განთავსებამდე, საამფეთქებლო სამუშაოების უბანი შემოიღობება და განთავსდება შესაბამისი ნიშნები დამუხტული შპურების გარშემო 50 მ რადიუსში უნებართვოდ შესვლის პრევენციის მიზნით;
- ტექნიკა და აღჭურვილობა არ იმუშავებს უსაფრთხოების წესების დარღვევით, რაც ასაფეთქებელ მასალასთან შეხების შედეგად გამოიწვევს შესაბამის საფრთხეს;
- დამუხტვამდე, შპურები შემოწმდება და სადაც შესაძლებელია გაიწმინდება ზედმეტი მასალისგან.
- სანამ დაიწყება დამუხტვა:
 - ასაფეთქებელი ნივთიერებები განთავსდება დეტონატორებისგან განცალკევებით;
 - ასაფეთქებელი ნივთიერებები იქნება დაცული და შეინახება დახურულ, ჰერმეტიკულ კონტეინერებში.
- დამუხტვა გაგრძელდება უწყვეტად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა შპურის დამუხტვა;
- ასაფეთქებელი ნივთიერებების ყველა კონტეინერი (მუყაოს ყუთები) სათანადოდ შემოწმდება, რომ მასში არ დარჩეს რაიმე მასალა. ცარიელი ყუთები სრულიად დაიშლება ნაგავსაყრელზე განთავსებამდე. ეს საშუალებას იძლევა შემოწმდეს კონტეინერებში დამალული გამოუყენებელი ასაფეთქებელი ნივთიერებები;
- საამფეთქებლო უბანზე შესვლა საჭიროებს საამფეთქებლო სამუშაოების უფროსის და HS სპეციალისტის ნებართვას და გამყოფს ყველა პერსონალისთვის, რომელიც არ ახორციელებს ჩვეულებრივ საქმიანობას (მაგ: კვლევა/ან კონტროლი) ან არ არის მომზადებული ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებაში;
- ისეთ ადგილებში, სადაც არაღრმა შპურები ქმნის პრობლემას, მოხდება მათი წინასწარი გაზომვა ხელახალი გაბურღვის მიზნით;

- თუ არ განხორციელდება არაღრმა შპურების ხელახალი ბურღვა, ისინი შესაბამისად დაიმუხტება;
- თუ შპურები არასაკმარისად ღრმაა, არ მოხდება მათი დამუხტვა.

აფეთქების შედეგად ნამსხვრევი ქანების გამოტყორცნის საფრთხე და მისი მართვა

ნამსხვრევი ქანის გამოტყორცნა – აფეთქების დროს ქანების ნამსხვრეების გამოტყორცნა და გაფანტვა; ამ პროცესით არის გამოწვეული აფეთქებასთან დაკავშირებული დაშვებების და ფატალური შედეგების უმრავლესობა. ნამსხვრევი ქანის გამოტყორცნა არის საფრთხე, რომელიც მოსალოდნელია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას საამფეთქებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში.

- საჭიროა სამუშაო ადგილის ეფექტური შემოწმებების ჩატარება; საფრთხეების აღმოჩენა და მათზე რეაგირება;
- მოსალოდნელი საფრთხეებისა და ავარიული პროცედურების იდენტიფიცირების მიზნით, საევაკუაციო პროცედურის ჩათვლით, საამფეთქებლო სამუშაოების გუნდის ყველა წევრის მიერ შესაბამისი სწავლების გავლის უზრუნველყოფა.
- მუდმივი კონტროლისა და შესაბამისი ნიშნების განთავსების უზრუნველყოფა ყველა მისასვლელ მარშრუტზე, უცხო ადამიანებისა და ავტომანქანების ტერიტორიაზე შესვლის პრევენციისთვის.
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (ჩაფხუტი, უსაფრთხოების ჩექმები, ტანის დამცავი სამოსი, სათვალები, უსაფრთხოების ჟილეტები) წესრიგში მოყვანა;
- საამფეთქებლო სამუშაოების განხორციელების ტერიტორიიდან ყველა პირის გაყვანა უსაფრთხო ადგილზე, ამ ადამიანების ნამსხვრევი ქანების გამოტყორცნისგან დასაცავად;
- საამფეთქებლო სამუშაოების დაპროექტების დროს გასათვალისწინებელია გრუნტის დამახასიათებელი პირობები და ქანების ფენების სისქე, ნამსხვრევი ქანის გამოტყორცნის თავიდან ასარიდებლად;
- მოსალოდნელი საამფეთქებლო სამუშაოების შესახებ ადამიანების გასაფრთხილებლად კომუნიკაციის ყველა ხელმისაწვდომი მეთოდის გამოყენება, როგორცაა სირენები და რადიო,;
- საამფეთქებლო ოპერაციების შესრულებისას საამფეთქებლო პროცედურების ზედმიწევნით შესრულება;

არადეტონირებული ფეთქებადი მასალის პროცედურა

- სამუშაოების წარმოების უბანზე აღმოჩენილ იქნა არადეტონირებული ფეთქებადი მასალა, საამფეთქებლო სამუშაოების უფროსს უნდა ეცნობოს ამის შესახებ დაუყოვნებლივ. ფეთქებადი მასალა იქნება შემოსაზღვრული, სანამ საამფეთქებლო სამუშაოების უფროსი ან საამფეთქებლო სამუშაოების გუნდის რომელიმე წევრი არ მოაცილებს ფეთქებად მასალას სამუშაო ტერიტორიიდან და არ მოახდენს მის საწყობში გადატანას.

საამფეთქებლო სამუშაოების მეთვალყურეობის ნებართვა

- პირი, რომელსაც არ აქვს გავლილი სწავლება/ან არ არის უფლებამოსილი, არ დაიშვება აქტიური დამუხტვის ან აფეთქების ტერიტორიაზე ნებართვის და საამფეთქებლო

სამუშაოების უფროსის ან ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ დანიშნული თანმხლები პირის გარეშე;

- ყველა, ვინც ითხოვს აფეთქებაზე დაშვებას, უნდა მოიპოვოს ნებართვა საამფეთქებლო სამუშაოების უფროსის ან ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტისგან.
- საამფეთქებლო სამუშაოების მეთვალყურეობა შესაძლებელია საამფეთქებლო სამუშაოების უფროსის მიერ ნებადართული/განსაზღვრული ტერიტორიებიდან;
- მეთვალყურეებს უნდა ჰქონდეთ საამფეთქებლო სამუშაოების უფროსთან საკომუნიკაციო საშუალებები.
- აფეთქებების ფოტოგრაფირება ან ვიდეო-გადაღება ნებადართული უნდა იყოს საამფეთქებლო სამუშაოების უფროსის ან უბნის მენეჯერის მიერ.
- მეთვალყურეებს მოეთხოვებათ საამფეთქებლო პროცედურების ცოდნა და მათი შესრულება;

არც ერთი მეთვალყურე არ დაიშვება გაწმენდილ/შეზღუდულ ტერიტორიაზე საამფეთქებლო სამუშაოების უფროსის ან ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტის ნებართვის გარეშე.

2.15 მიწის სამუშაოები

სამუშაოები, რომლებიც მოიცავს გრუნტის გაჭრას ექსკავატორის ან ბულდოზერის გამოყენებით, ექსკავაციის მიმდინარეობას აკვირდება სამუშაოს ზედამხედველი და მედროშე მეთვალყურე რომელიც საჭიროების შემთხვევაში საყვირის ან რაციის გამოყენებით აძლევს ნიშანს ოპერატორს მოსალოდნელი ქვათაცვენის შესახებ. ოპერატორი აკეთებს დროულ რეაგირებას და გაეცლება უსაფრთხო დისტანციაზე. სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა

- კომპეტენტური პირის მიერ სამუშაო უბანზე საფრთხის შეფასება
- მიწის ქვეშ არსებული ყველა საფრთხე, (არსებობის შემთხვევაში) მაგ: მილსადენები, ელექტრო კაბელების იდენტიფიცირება

იქ სადაც პერსონალი ექსკავაციის შემდეგ უნდა შევიდეს:

- კონტროლდება გრუნტის გადაადგილება და სისტემატიური გამაგრების, დაქანების და დატერასების მეშვეობით ხდება გრუნტის ჩამოშლის პრევენცია;
- გრუნტის და გარემო პირობების უწყვეტი მონიტორინგი ცვლილებების დასაფიქსირებლად;
- მიწის სამუშაოებისთვის უნდა გამოიყოს „კომპეტენტური პირი“; უნდა მოხდეს მათი სწავლება მიწის სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გათხრილი არელების გვერდები, სადაც დასაქმებულები გრუნტის ჩამოშლის საფრთხის წინაშე არიან, დაცული უნდა იყოს სპეციალური საყრდენი სისტემით, ასევე ფერდობების დახრის კუთხის შეცვლით, გრუნტის დატერასებით ან სხვა მსგავსი საშუალებებით.

2.16 პორტატული ხელსაწყოები

ხელის ინსტრუმენტებით მუშაობის დროს მიღებული ტრავმების უმეტესობა გამოწვეულია არასათანადო ხელსაწყოს გამოყენებით, მათი არასწორი გამოყენებით ან მათი არასწორი შენახვით. ამასთან დაკავშირებით პროექტი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- სამუშაოსთვის ყოველთვის სათანადო ხელსაწყოთა გამოყენება. არასოდეს გამოიყენება ქანჩის გასაღები ჩაქურჩისთვის;
- ყოველთვის გამოიყენება ქანჩის გასაღები ჭანჭიკების მოსაჭერად;
- საჭრელი ხელსაწყოების გამოყენების დროს ხელი უნდა გეჭიროთ საჭრელი კიდიდან მოშორებით;
- ელექტრო ხელსაწყოებთან მუშაობისას ყოველთვის გამოიყენება ხელთათმანები;
- გახსნილი დანები, საჭრისები და სხვა ბასრი ნივთები ყოველთვის შეინახეთ უსაფრთხო ადგილას და არა ჯიბეში;
- ხელსაწყოები ყოველთვის შეინახეთ სუფთა და სათანადო პირობებში - როგორც გამოყენების, ასევე შენახვის დროს დაიცავით ბასრი ხელსაწყოების ნაპირები;
- ისეთი სამუშაოების შესრულების დროს როგორებიც არის მსხვრევა, გახეხვა, ქვით ან ბეტონით მოპირკეთება, ამოგება და მოქლონის გაჭრა ან სამუშაოები, რომლებიც ნაწილაკების გაფანტვის საფრთხეს წარმოქმნის, ყოველთვის უნდა გამოიყენოთ თვალის დამცავი საშუალებები;
- არასოდეს გამოიყენოთ დაზიანებული ან გაცვეთილი ხელსაწყოები, მაგ: ჩაქურჩები მოშვებული თავით, გატეხილი ან მოშვებული ტარის მქონე ქლიბები, საჭრისი სოკოსებრი თავებით, ქანჩის დასაღები დამრეცი ტუჩებით;
- არასოდეს გამოიყენოთ ქლიბი ტარის გარეშე, ქლიბის ბოლო სახიფათოა;
- არასოდეს დადოთ პატარა ზომის ხელსაწყოები ღია ცხაურიან იატაკზე, ისინი შეიძლება ჩავარდეს და ვინმე დააზიანოს. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები დააბრუნეთ მათთვის განკუთვნილ ჩასადებში.

2.17 არახელსაყრელი კლიმატური პირობები

არახელსაყრელი ამინდის პროგნოზის შემთხვევაში, სამუშაოები არ უნდა განხორციელდეს. თუ ქარის სიჩქარე აღემატება 10 მ/წმ-ს, დაუშვებელია ამწე სამუშაოების განხორციელება. HS პასუხისმგებელი პირი რეგულარულად თვალს ადევნებს მოსალოდნელ ამინდის პროგნოზს.

2.18 ხანძრის პრევენცია

ხანძრის პრევენციისთვის რეკომენდირებულია შემდეგი ქმედებები:

- საევაკუაციო გასასვლელები ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი;
- საწყოები უნდა იყოს დაკეტილი თუ არ ხდება მათი გამოყენება;
- ნარჩენების განთავსება შესაბამის ურნებში;
- შეამოწმეთ, რომ ხანძარსაწინააღმდეგო კარები იყოს ყოველთვის დახურული;
- შეამოწმეთ, რომ ავარიული გასასვლელები იყოს ყოველთვის ღია;
- ყოველთვის დაუყოვნებლივ განახორციელეთ შეტყობინება მოშლილი აღჭურვილობის და დაზიანების შესახებ;

- ყოველთვის დაუყოვნებლივ განახორციელეთ შეტყობინება აალებადი ნივთიერების დაღვრის შესახებ.

2.19 სამუშაო ნებართვა (PTW)

სამუშაო ნებართვა (PTW) არის არსებითად მაღალი რისკების და განსაკუთრებული ასპექტების შემცველი სამუშაოს მართვის საკვანძო ნაწილი, რომელიც რუტინულ და ყოველდღიურ საქმიანობასთან შედარებით განაპირობებს მაღალი დონის რისკის წარმოქმნას. მის აუცილებლობას განაპირობებს სხვა არსებული მართვის პოლიტიკები, პროცედურები და პროცესები, რომლებიც არეგულირებს ყველა სახის სამუშაო პროცესს და მართვის რისკებს. PTW დოკუმენტის მიზანი მდგომარეობს შემდეგში:

- ყველა განსაზღვრული სამუშაოს დასრულება, საშიშროების შემცველი სამუშაოს მითითება და სიფრთხილის ზომების მიღება სამუშაოს დაწყებამდე;
- უბანზე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით ყველა ტიპის საქმიანობის კოორდინირება.

პროექტის განხორციელების პროცესში, მუშებს, რომლებიც ჩართულები არიან მაღალი რისკის შემცველ სამუშაოებში, უნდა ჰქონდეთ სამუშაო ნებართვა. დოკუმენტი უნდა შეივსოს და დამტკიცდეს ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში მუშაობის დაწყებამდე. სამუშაო ნებართვა (PTW) წარმოადგენს ერთგვარ ყოველდღიურ საშვს და ყოველი სამუშაო დღის ბოლოს საჭიროა მასზე ხელმოწერა.

2.20 დახურულ სივრცეში შესვლა

ნებისმიერი სახის დახურულ სივრცეში შესვლა შესაძლებელია თუ:

- გამორიცხულია შესვლის ყველა სხვა ალტერნატივა;
- ყველა პირი, ვინც სამუშაოს ასრულებს არის კომპეტენტური;
- სივრცეზე მოქმედი ენერგიის ყველა წყარო გადაკეტილია;
- ხდება ატმოსფეროს შემოწმება, დადასტურება და გამეორება იმდენჯერ რამდენჯერაც განსაზღვრულია რისკის შეფასებით;
- მოხდება უნებართვო შესვლის პრევენცია, უნდა განისაზღვროს მუშათა რაოდენობა, დახურულ სივრცეში შესვლისა და გამოსვლის დრო;

საჭიროების და უბნის უსაფრთხოების წარმომადგენლის რეკომენდაციის შემთხვევაში, დახურულ სივრცეში უზრუნველყოფს მექანიკური ვენტილაციის აღჭურვილობის განთავსებას.

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შესვლა/გამოსვლის სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება მოთხოვნის შესაბამისად. შესვლა/გამოსვლის სარეგისტრაციო ჟურნალი აუცილებელია ყველა დახურული სივრცისთვის.

2.21 საწვავის და ზეთის შენახვა

ქვემოთ მოცემული ღონისძიებები უზრუნველყოფს ზეთის შენახვის წესების შესაბამისობას ეროვნულ და ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებთან:

- შესანახი რეზერვუარები არ უნდა განთავსდეს წყლის ობიექტიდან, ჭიდან ან მშრალი კალაპოტიდან 100 მეტრში;
- ყველა რეზერვუარს უნდა ჰქონდეს ორმაგი საფარი და/ან განთავსდეს გარსაცმში, რომლის მოცულობა იქნება ავზის მოცულობის 110%. გარსაცმი უნდა იყოს ჰერმეტიკული (მაგ: ბეტონით მოპირკეთება) დახურული სადრენაჟე წერტილებით, რომლებიც ჩაედინება შესაბამისი ზომის ზეთის და წყლის სეპარატორში;
- რეზერვუარების დამაკავშირებელი წერტილები მოეწყობა თავად გარსაცმში (შემოზღუდვაში);
- რეზერვუარების გამომშვები მილები აღიჭურვება ჩამკეტი მოწყობილობებით, რომლის ოპერირება შესაძლებელია გარსაცმის გარეთ უსაფრთხო პოზიციიდან;
- გადავსების პრევენციის მიზნით, ყველა რეზერვუარს ექნება დონის მაჩვენებლები;
- საწვავის/ნახშირწყალბადის გამანაწილებელი მილები უნდა აკონტროლებდეს წვეთვის პროცესს და უსაფრთხოდ იკეტებოდეს, როდესაც არ გამოიყენება;
- ავტოცისტერნების განთავსებისთვის და მიწოდებისთვის გამოყოფილი ტერიტორიები უნდა იყოს მყარი ზედაპირის მქონე და გააჩნდეს კოლექტორი; ამ ტერიტორიებზე წარმოქმნილი წვიმის წყალი და ნარჩენები გაივლის სპეციალურ გამწმენდ სისტემაში, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის გეგმაში მოცემულ სტანდარტებს;
- საწვავის მომხმარებელი ყველა დანადგარი (მაგ: გენერატორები) აღჭურვილი უნდა იყოს წვეთსაკრებებით;
- ყველა უბანზე, სადაც ხდება დიზელის მიწოდება და შენახვა, დამონტაჟდება დაღვრის საწინააღმდეგო მოწყობილობა, რომელიც შეაკავებს დატვირთვის დროს დაღვრილ საწვავს;
- დანალექების შემცველი წყალი წინასწარი გაწმენდის გარეშე არ უნდა ჩაედინებოდეს ზეთის და წყლის სეპარატორებში;
- უნებართვოდ შესვლის პრევენციის მიზნით საწვავის შესანახი ტერიტორიები შემოიღობება. მხოლოდ სადგურის ოპერატორებს ექნებათ საწვავის გაცემის უფლება;
- საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საწვავის შესანახი ტერიტორიებზე განთავსდება საფრთხის აღმნიშვნელი ნიშნები;

საწვავის შესანახი ტერიტორიები აღიჭურვება დაღვრის შემაკავებელი მასალით და მშრალი ფხვნილის შემცველი ცეცხლსაქრობებით. HS წარმომადგენელი განახორციელებს დაღვრის შემაკავებელი მასალის მუდმივ მიწოდებას ყველა უბანზე.

2.22 მობილური ამწის უსაფრთხოება

აღნიშნული წესი ითვალისწინებს მინიმალური მოთხოვნების შესრულებას მობილური ამწეების ფუნქციონირებისთვის ან იმ სივრცეში მუშაობისთვის, სადაც ისინი ოპერირებენ.

- პროექტის ყველა ზედამხედველის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს არსებულ წესებთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელსაც იცავს ყველა დასაქმებული. პროექტის მენეჯერის სხვა პასუხისმგებლობები გულისხმობს აღნიშნული წესების შესრულების და დაცვის მონიტორინგს და დაფიქსირებული დარღვევების და/ან შეუსაბამო საკითხების აღმოჩენის შემთხვევაში პროექტის ადმინისტრაციის ინფორმირებას მყისიერი მაკორექტირებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით;
- ყველა დასაქმებული ვალდებულია გამოიმუშაოს უსაფრთხო მუშაობის უნარები და მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- აღჭურვილობაზე ან საპროექტო უბანზე ხელმისაწვდომი იქნება ტექნიკის თითოეული მოდელისთვის განსაზღვრული მწარმოებლის მიერ გაცემული ოპერატორისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს ასლი და მოხდება მასში მითითებული მწარმოებლის მიერ განსაზღვრული სპეციფიკაციებისა და შეზღუდვების გათვალისწინება. მწარმოებლის სპეციფიკაციების სახელმძღვანელო წარმოდგენილი იქნება ოპერატორისთვის გასაგებ ენაზე ან ისე რომ ოპერატორმა შეძლოს მისი წაკითხვა და გაგება.

ქვემოთ მოცემულია მობილური ამწის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული ღონისძიებები;

სამშენებლო უბნის მენეჯერები და HS წარმომადგენლები გამოყოფენ კომპეტენტურ პირ(ებ)ს მობილური ამწის ინსპექტირებისათვის. კომპეტენტური პირ(ებ)ის დანიშვნა მოხდება წერილობითი ფორმით და მისი (მათი) კვალიფიკაციები დოკუმენტურად აისახება.

- შემოსვლისას მოხდება თითოეული მობილური ამწის ინსპექტირება დაზიანებების გამოსავლენად, ასევე შემოწმდება გამოყენებამდე და ყოველ 30 დღეში ერთხელ;
- საექსპლუატაციო ჟურნალების შევსება და შენახვა;
- მწარმოებლის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია აღჭურვილობასთან დაკავშირებით რაიმე მოდიფიკაციის ან ცვლილების განხორციელება;
- ამწის ყოველწლიურ შემოწმებას განახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი. ამწის დაშლის ან კაპიტალური შეკეთების შემთხვევაში მას შეამოწმებს დამოუკიდებელი ინსპექტორი.

ამწეების ყველა ინსპექტირების, მათ შორის წლიური ინსპექტირების დოკუმენტის ასლი ფაილის სახით უნდა ინახებოდეს HS-ს ოფისში მთელი პროექტის განმავლობაში.

პროექტის კონტრაქტორებმა მობილური ამწის უსაფრთხოების ღონისძიებები ან სამშენებლო საქმიანობები უნდა განახორციელონ 'სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების' შესახებ ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის #361 (27.05.2014) დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

3 ფორმები და ანკეტები

3.1.1 წარედგინა შესაბამის სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში

დამსაქმებლის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შეტყობინების ოქმი		
1. ზოგადი ინფორმაცია		
თარიღი: __ / __ / __	ოქმის შემდგენი პირი სახელი/გვარი: _____ პ/ნ: _____ ტელ: _____	უბედური შემთხვევის სახე: მძიმე/ფატალური/მასობრივი _____ _____ _____
2. ინფორმაცია საწარმოს/ორგანიზაციის შესახებ		
ორგანიზაციის დასახელება: _____ საკადასტრო კოდი: _____ ტელ: _____ მისამართი: _____ საქმიანობის სფერო: _____		
3. ინფორმაცია უბედური შემთხვევის შესახებ		
უბედური შემთხვევის თარიღი: " __ " _____ 20_ წ. ____ სთ. ____ წთ.		
უბედური შემთხვევის ფაქტობრივი შედეგი	ქონების დაზიანება	სამუშაო პროცესიდან გამომდინარე
☐ გარდაცვალება ☐ შრომისუნარიანობის დაკარგვა ☐ შრომისუნარიანობის შეზღუდვა ☐ სხვა _____	☐ შენობა/შენობის ნაწილი ☐ აღჭურვილობა ☐ სხვა _____	დიახ ☐ არა ☐
4. დაშავებულ(ებ)ის /გარდაცვლილ(ებ)ის პირადი ინფორმაცია (შენიშვნა: ორზე მეტი დაშავებულის პირადი ინფორმაცია წარმოადგინეთ დანართის სახით)		
სახელი: _____	დასაქმების თარიღი: _____	

გვარო: _____ პ/ნ: _____ ტელ: _____ მისამართი: _____ დაბადების თარიღი: _____ სამუშაო პოზიცია: _____	სამუშაო სტაჟი, რომლის დროსაც მოხდა უბედური შემთხვევა სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში: _____ ცვლის ხანგრძლივობა: _____ სამუშაოზე დაშვებამდე ჩატარებული სამედიცინო შემოწმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
სახელი: _____ გვარო: _____ პ/ნ: _____ ტელ: _____ მისამართი: _____ დაბადების თარიღი: _____ სამუშაო პოზიცია: _____	დასაქმების თარიღი: _____ სამუშაო სტაჟი, რომლის დროსაც მოხდა უბედური შემთხვევა სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში: _____ ცვლის ხანგრძლივობა: _____ სამუშაოზე დაშვებამდე ჩატარებული სამედიცინო შემოწმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
5. უბედური შემთხვევის აღწერა		
5.1 სამუშაო პროცესის არწერა:		
5.2 საწარმოო გარემოს აღწერა:		
5.3 მოწყობილობა, ხელსაწყო, ინსტრუმენტი, დანადგარი, რომელმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა. (მწარმოებელი, სახელწოდება, მოდელი, გამოშვების წელი)		
6. დაშავების ტიპი (თუ დადგენა შესაძლებელია):		
☐ იარა/ნაკაწრი ☐ ამპუტაცია ☐ ასფიქსია/მოხრჩობა ☐ ცხოველის/მწერის ნაკბენი ☐ დამწვრობა ☐ თავის ტვინის დაზარალებული ტრამვა/ჰემატომა ☐ ტვინის შერყევა	☐ ღრმობა/დაჭიმულობა ☐ ელექტროშოკი ☐ ინფექცია ☐ მოტეხილობა ☐ დასხივება ☐ სხვა:	
7. სხეულის დაზიანების ლოკაცია (თუ დადგენა შესაძლებელია):		

☐ ზედა კიდური ☐ ქვედა კიდური ☐ ხერხეშლის სვეტი ☐ გულ-მკერდი ☐ ყური ☐ თვალი ☐ თითის ფალანგი	☐ მენჯ-ბარძაყი ☐ შინაგანი ორგანოები ☐ სახის მიდამო ☐ თავის ტვინი ☐ თავი ☐ სხვა _____
---	---

ხელმოწერა:

3.1.2 წარედგინა შესაბამის სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში

კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი		
1. ზოგადი ინფორმაცია		
თარიღი: __ / __ / __	ოქმის შემდგენი პირი სახელი, გვარი: _____ პ/ნ: _____ ტელ: _____	უბედური შემთხვევის სახე საშუალო/მძიმე/ფატალური/ მასობრივი _____ _____ _____ _____
2. ინფორმაცია საწარმო/ორგანიზაციის შესახებ:		
კომპანიის დასახელება: _____ საკადასტრო კოდი: _____ ტელ: _____ _____ მის: _____ _____ საქმიანობის სფერო: _____ დაწესებულების ხელმძღვანელი: _____ _____		
3. ინფორმაცია უბედური შემთხვევის შესახებ		
უბედური შემთხვევის თარიღი: " __ " _____ 20_ წ. ____ სთ. ____ წთ..		
უბედური შემთხვევის ფაქტობრივი შედეგი	ქონების დაზიანება	სამუშაო პროცესიდან გამომდინარე
☐ გარდაცვალება ☐ ჯანმრთელობის დაზიანება ☐ სახიფათო შემთხვევა ☐ სხვა _____	☐ შენობა/შენობის ნაწილი ☐ აღჭურვილობა ☐ ტექნიკური დანადგარი ☐ სხვა _____	დიახ ☐ არა ☐
4. დაშავების ტიპი (თუ დადგენა შესაძლებელია):		

☐ იარა/ნაკაწრი ☐ ამპუტაცია ☐ ასფიქსია/მოხრჩობა ☐ ცხოველის/მწერის ნაკბენი ☐ დამწვრობა ☐ თავის ტვინის დაზურული ტრამვა/ჰემატომა ☐ ტვინის შერყევა	☐ ღრძობა/დაჭიმულობა ☐ ელექტროშოკი ☐ ინფექცია ☐ მოტეხილობა ☐ დასხივება ☐ სხვა:
5. სხეულის დაზიანების ლოკაცია (თუ დადგენა შესაძლებელია):	
☐ ზედა კიდური ☐ ქვედა კიდური ☐ ხერხემლის სვეტი ☐ გულ-მკერდი ☐ ყური ☐ თვალი ☐ თითი	☐ მენჯ-ბარძაყი ☐ შინაგანი ორგანოები ☐ სახის მიდამო ☐ თავის ტვინი ☐ თავი ☐ სხვა: _____
6. დაშავებულ(ებ)ის /გარდაცვლილ(ებ)ის პირადი ინფორმაცია (შენიშვნა: ორზე მეტი დაშავებულის პირადი ინფორმაცია წარმოადგინეთ დანართის სახით)	
სახელი: _____ გვარი: _____ პ/ნ: _____ ტელ: _____ მის: _____ დაბადების თარიღი: _____ სამუშაო პოზიცია: _____ —	დასაქმების თარიღი: _____ სამუშაო სტაჟი, უბედური შემთხვევის მოხდენამდე: _____ სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში: _____ ცვლიანობის ხანგრძლივობა: _____ სამუშაოზე დაშვებამდე ჩატარებული სამედიცინო შემოწმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
სახელი: _____ გვარი: _____ პ/ნ: _____	დასაქმების თარიღი: _____ სამუშაო სტაჟი, უბედური შემთხვევის მოხდენამდე: _____ სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში: _____

ტელ: _____ მის: _____ დაბადების თარიღი: _____ სამუშაო პოზიცია: _____	ცვლიანობის ხანგრძლივობა: _____ სამუშაოზე დაშვებამდე ჩატარებული სამედიცინო შემოწმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
7. ინფორმაცია ჩატარებული ინსტრუქტაჟის/ სწავლების შესახებ:	
თარიღი: __/__/__ თემა: _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____	
მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): _____	

[illegible]

This image shows a full page of white paper with horizontal blue or grey ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page, providing a template for handwriting practice or general writing. There are no margins, text, or other markings on the page.

10. თანდართული მასალა			
ფოტო ☐	თვითმხილველთა ჩვენებები ☐	სხვა: ☐	
ესკიზები	სამედიცინო დასკვნები		
თვით მხილვ ელები	პირადი ინფორმაცია	პოზიცია	ორგანიზაციის დასახელება
	1. _____ (სახელი, გვარი, პ/ნ, ტელ)		
	2. _____ (სახელი, გვარი, პ/ნ, ტელ)		
	3. _____ (სახელი, გვარი, პ/ნ, ტელ)		
11. უბედურ შემთხვევასთ ან კავშირში მყოფი პირის ან სხვა პირების (გვარი, სახელი, თანამდებობა, საკონტაქტო მონაცემები) ქმედების აღწერა			
12. უბედური შემთხვევის დროს საწარმოო გარემოს პირობები: (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქო-სოციალური ფაქტორები)			

[illegible]

13. უბედური შემთხვევის ანალიზი (უშუალო, ძირითადი და არსებითი/სისტემური ფაქტორები):

This image shows a single sheet of white paper with horizontal blue or grey ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There is no handwriting or other markings on the paper.

დამატებითი ინფორმაცია:

3.2 დანართი 6 - OHS-ს სწავლების აღრიცხვის ჟურნალი

აღნიშნული ინსტრუქტაჟი წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომითი უსაფრთხოების (OHS) შესახებ სწავლებას, რომელიც გაიარეს CSCEC-ის მენეჯერებმა და მუშებმა შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 2019, მოთხოვნის შესაბამისად. ტრენინგი შეიძლება ჩაატაროს ზედამხედველმა სამუშაო ადგილას ან ინსტრუქტორმა სამუშაო სივრცის გარეთ. OHS ტრენინგის საშუალებით CSCEC -ის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი იქნებიან იმ ინფორმაციითა და უნარებით, რაც მათ სჭირდებათ მოვალეობის შესრულების დროს, ისე რომ საფრთხე არ შეექმნას მათ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

CSCEC -ის მიხედვით, OHS ტრენინგი შესაძლოა საჭირო გახდეს როცა:

- სამუშაოზე ხდება ახალი თანამშრომლის აყვანა - შესავალი ინსტრუქტაჟი;
- ინსტრუქტაჟი -ახალ დანადგარებთან/აღჭურვილობასთან ან სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით; სამუშაო სივრცეში ხდება პროდუქციის ან სხვა მასალის გაცნობა;
- დასაქმებულის სამუშაო იცვლება;
- ხდება ახალი ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების რეგულაციების დანერგვა, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს წარმოებაზე;
- სამუშაოზე მოხდა ინციდენტი, დაფიქსირდა სახიფათო სიტუაცია ან ტრავმა.

წარმატებული სწავლების მიზნით, OHS-ს ინსტრუქტაჟი ყოველწლიურად გადაიხედება, რათა ჩვენმა მენეჯერებმა და მუშებმა:

- გაიგონ რა მოეთხოვება მათ;
- ჰქონდეთ სათანადო ცოდნა და უნარები, რათა იმუშაონ უსაფრთხოდ და რისკი არ შეუქმნან საკუთარ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;
- რეალურად იმუშაონ ინსტრუქტაჟის შესაბამისად.

გარდა ამისა, აღნიშნული სარეგისტრაციო ფორმა გამოიყენება როგორც OHS მართვის სისტემის რეგულარული მიმოხილვის ნაწილი, რათა განისაზღვროს:

- იყო თუ არა რაიმე სახის გაუმჯობესება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების გეგმის შესრულებაში;
- უკუკავშირი იმ ადამიანების მხრიდან, ვინც გაიარა სწავლება;
- საჭიროა თუ არა დამატებითი ინფორმაცია და/ან ტრენინგი;
- გამოყენებული იყო თუ არა სწავლების ყველაზე ხელსაყრელი მეთოდი;
- შესაძლებელია თუ არა სწავლებასი გაუმჯობესებების შეტანა.

მოხდება ტრენინგის ჩანაწერების მონიტორინგი, ისე რომ შესაძლებელი იყოს განმეორებითი სწავლების ჩატარება საჭიროების შემთხვევაში. .

H&S შესავალი ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი

ვინ გაიარა სწავლება/ სამუშაოს დასახელება	სწავლების მიზეზი	სწავლების ხანგრძლივობა	ვინ უზრუნველყო სწავლება	სწავლების მეთოდი სამუშაოზე, თეორიული, პრაქტიკული	სწავლების ადგილმდებარეობა	დაგეგმილი თარიღი	დასრულების თარიღი

3.3 დანართი 7 - OHS-ს რისკის შეფასების პროფორმა

რისკის შეფასება

საფეხური 1 - შედეგები რამდენად სერიოზულად შეიძლება დაზიანდეს ადამიანი		საფეხური 2 - ალბათობა			
		დიდი ალბათობით შეიძლება მოხდეს ხშირად	სავარაუდოა მოხდეს შემთხვევით	ნაკლებ სავარაუდოა, შეიძლება მოხდეს, მაგრამ იშვიათად	მოხდენის ალბათობა არ არსებობს, შესაძლოა არასოდეს მოხდეს
		L1	L2	L3	L4
შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ან მუდმივი ინვალიდობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება	C1	მაღიან მაღალი რისკი 6	მაღიან მაღალი რისკი 6	მაღალი რისკი 5	შესამჩნევი რისკი 4
ხანგრძლივი ავადმყოფობა ან სერიოზული ტრავმა	C2	მაღიან მაღალი რისკი 6	მაღალი რისკი 5	შესამჩნევი რისკი 4	საშუალო რისკი 3
სამედიცინო დახმარება და რამდენიმე დღე სამსახურში არ გამოცხადება	C3	მაღალი რისკი 5	შესამჩნევი რისკი 4	საშუალო რისკი 3	დასაშვები რისკი 2
საჭირო გახდა პირველადი დახმარება	C4	შესამჩნევი რისკი 4	საშუალო რისკი 3	დასაშვები რისკი 2	დაბალი რისკი 1

საფეხური 3 - რისკის პრიორიტეტულობის დონე	საფეხური 4 - ქმედება და რეაგირება
6 მაღიან მაღალი რისკი	საქმიანობის შეწყვეტა - უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა მყისიერი მოქმედება. საქმიანობის განახლებამდე უზნის მენეჯერმა უნდა განსაზღვროს უსაფრთხოების ღონისძიებები. სიფრთხილით მოქმედება - სავალდებულოა მოსალოდნელი ან არსებული რისკის შესახებ უზნის მენეჯერის მყისიერი ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
5 მაღალი რისკი	
4 შესამჩნევი რისკი	ინფორმირებულობა - ჯანმრთელობის დაზიანების ან ავადმყოფობის პრევენციის მიზნით საჭიროა რაც შეიძლება სწრაფი მოქმედება. მიმდინარე ცვლაში ან მომდევნო ცვლაში უნდა მოხდეს პასუხისმგებელი მენეჯერის ინფორმირება აღნიშნული რისკების შესახებ.
3 საშუალო რისკი	
2 დასაშვები რისკი	შესაძლებლობის შემთხვევაში იმოქმედეთ რუტინული პროცედურების მიხედვით.
1 დაბალი რისკი	პასუხისმგებელმა მენეჯერმა უნდა განახორციელოს აღნიშნული რისკების აღრიცხვა, მონიტორინგი და კონტროლი.

რისკების კონტროლი - საკონტროლო ღონისძიებების იერარქია

მას შემდეგ რაც დასრულდება რისკის შეფასების პროცესი, მოხდება საფრთხეების იდენტიფიცირება როგორც მაღიან მაღალი რისკის ან მაღალი რისკის შემცველი და განისაზღვრება პრიორიტეტები. გამოვლენილი რისკების კონტროლის გათვალისწინებით,

საკონტროლო ღონისძიებების იერარქია უზრუნველყოფს ყველაზე ეფექტური კონტროლის განხორციელებას.

შემოწმების პროცესის დასრულების შემდეგ, უნდა მომზადდეს გამოვლენილი საფრთხეების დეტალური სამუშაო ანგარიში. მასში აღწერილი უნდა იყოს თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტთან დაკავშირებით გამოვლენილი რისკის შეფასება და თითოეულის რისკის მაჩვენებელი. ყოველივე ეს ხდება შემდეგის გათვალისწინებით:

- > რამდენად ხშირად ხვდებიან ადამიანები საფრთხის წინაშე - კვირაში რამდენი დღე, დღეში რამდენჯერ;
- > რა შედეგები შეიძლება მივიღოთ - ჯანმრთელობის დაზიანება (ტრავმატიზმი), გარემოს დაზიანება, ადდენასა და შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯები და დანაკარგები - რამდენად მწვავე შეიძლება იყოს შედეგი;
- > რა სისტემებია ამჟამად ადგილზე, რამდენად ეფექტურია ისინი ან არის თუ არა საჭირო სხვა დამატებითი ინფორმაცია.

3.4 დანართი 12 - ტექნიკური მოთხოვნები სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მიმართ

მოთხოვნები დამცავი მოაჯირების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ

A დამცავი მოაჯირების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დამცავი მოაჯირი/მოაჯირები/სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე;

ბ) მოაჯირი უნდა შედგებოდეს ვერტიკალური, საყრდენი, ზედა და შუა ჰორიზონტალური ძელებისგან. მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლატფორმაზე) უნდა იყოს დამონტაჟებული მინიმუმ 10 სმ-ის სიმაღლის ქვედა ჰორიზონტალური ძელი სხვადასხვა საგნის ან ხელსაწყოთა ვარდნის თავიდან ასაცილებლად. შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე. მყარი მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს სამუშაო ზედაპირიდან 90-120 სმ;

გ) შუაძელები და ბადეები უნდა დამონტაჟდეს ზედა ძელსა და სამუშაო ზედაპირს შორის;

გ.ა) შუაძელის არარსებობის შემთხვევაში, არსებული მოაჯირის მთლიანი პერიმეტრი შემოსაზღვრული უნდა იყოს სამშენებლო საცერი ბადეებით;

გ.ბ) ერთმანეთის გადამკვეთი ძელები შესაძლოა გამოყენებული იყოს შუალედური ძელის ნაცვლად იმ შემთხვევაში, თუ გადამკვეთი ძელების გადაკვეთის წერტილი არის სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე;

გ.გ) მოაჯირების ჰორიზონტალური ძელები დამაგრებული უნდა იყოს საყრდენი ბოძების შიდა მხარეს;

გ.დ) ვერტიკალური საყრდენი ძელების გამოყენებისას მათ შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 50 სმ-ს;

გ.ე) მოაჯირი უნდა უძლებდეს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ ტვირთის მიწოლით დატვირთვას, რა დროსაც მოაჯირის გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10 სმ-ს;

გ.ვ) მოაჯირზე ბადეები და სხვა დამცავი საშუალებები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ არ გამოიწვიოს დასაქმებულთა დაზიანება (დასერვა, თითების მოყოლა) და ტანისამოსზე გამოდება;

გ.ზ) მოაჯირების დაბოლოებები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის დაზიანება;

გ.თ) დაუშვებელია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძელების ერთმანეთზე დამაგრება ფოლადის ან პლასტმასის არტახებით;

გ.ი) მოაჯირის ზედა და შუა ძელები უნდა იყოს ძლიერი და გამძლე მასალისგან დამზადებული, მინიმუმ 60 მმ-ის დიამეტრის ან სისქის, რათა გამოირიცხოს მათი გაჭრა ან/და გაღლევა. თუ გამოყენებულია ლითონის ბაგირი, ყოველ 180 სმ-ში უნდა დამონტაჟდეს თვალისთვის ადვილად აღსაქმელი ყვითელი ფერის მაფრთხილებელი აღმები;

გ.კ) თუ მოაჯირის სისტემები გამოიყენება ხვრელების გარშემო, რომლებიც განკუთვნილია მისასვლელი ადგილებისთვის (კიბით ჩასასვლელი), ასეთი ხვრელები აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური საფარით ან იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ მოხდეს ადამიანის მარტივად შეღწევა;

გ.ლ) როდესაც დამცავი მოაჯირი გამოიყენება ღიობებთან, ღიობების ყველა მხარე უნდა იყოს დაფარული;

გ.მ) როდესაც ღიობები გამოიყენება ტვირთის სამომდრო ადგილად, გამოყენებული უნდა იქნეს მობილური მოაჯირები. იმ შემთხვევაში, თუ ღიობი არის გამოყენებული, იგი უნდა იყოს აუცილებლად დაფარული მთლიანი ფენილით;

გ.ნ) ნებისმიერ ღიობთან ახლოს მდებარე პანდუსი ან დაქანებული ადგილი, რომელიც გამოიყენება ადამიანის სავალ ბილიკებად, უნდა იყოს მოაჯირებით შემოსაზღვრული;

გ.ო) თუ მოაჯირის ზედა ნაწილი შედგება მანილის, პლასტმასის ან სინთეტიკური ბაგირისგან, აუცილებელია მისი შემოწმება საჭირო პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ, რათა დადასტურდეს, რომ ის უძლებს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მიწოლით დატვირთვას;

გ.პ) მოაჯირი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმის კიდიდან არანაკლებ 10 სმ-ის მანძილისა.

ზოგადი მოთხოვნები ხარაჩოების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ

1. ხარაჩოები უნდა იყოს სწორად დაპროექტებული, ქარხნულად დამზადებული და მოვლილი, რათა გამოირიცხოს მათი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება.

2. ხარაჩოების მოაჯირები უნდა იყოს 90-120 სმ-ის სიმაღლის. მოაჯირის ზედა ძელი უნდა უძლებდეს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მიწოლით დატვირთვას.

3. დაუშვებელია ხარაჩოს აღმართვა, შეცვლა ან მოხსნა პასუხისმგებელი პირის ან მის მიერ დანიშნული პირის ზედამხედველობის გარეშე. ზედამხედველ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია. ხარაჩოს გამოყენებული მასალები გამოყენებამდე ყოველ ჯერზე უნდა მოწმდებოდეს.

4. ნებისმიერი სახის ხარაჩო და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი უნდა იყოს დამზადებული მყარი და სათანადო მასალებისგან. ხარაჩოში გამოყენებული ლითონის დეტალები და აღჭურვილობა უნდა იყოს დამზადებული შესაბამისი მასალისგან. არ უნდა იყოს გაცვეთილი და არ უნდა გააჩნდეს აშკარა დეფექტები. ხარაჩოებში, მისადგამ და დასაკვე კიბეებში გამოყენებული ხის მასალა არ უნდა იყოს შეღებილი ან დაფარული სხვა მასალით.

5. სამუშაო პლატფორმები, წანწალები და ხარაჩოების კიბეები უნდა იყოს ისეთი ზომისა და კონსტრუქციის, რომ დასაქმებულები დაცული იყვნენ ჩამოვარდნისა და ჩამოცვნილი საგნებისგან. აკრძალულია უხარისხო/დეფექტური ბაგირების გამოყენება.

6. ხარაჩოების საყრდენები/ბოძები უნდა იყოს:

ა) პერპენდიკულარული;

ბ) რაც შეიძლება ახლოს განლაგებული ერთმანეთთან, ხარაჩოების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ბოძებს შორის დაშორება 3 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.

7. დაუშვებელია ბოძების დაცურება, ნიადაგში ჩაფლობა ან ნებისმიერი სახის მოძრაობა.

8. შემაკავშირებელი კოჭები უნდა იყოს ჰორიზონტალურად განლაგებული და ბოძებზე მყარად დამაგრებული. პლატფორმის ასაგებად გამოყენებული ფიცრები მყარად უნდა იყოს დამაგრებული შემაკავშირებელ კოჭებზე ან ბოძებზე. როდესაც ფიცრების ან შემაკავშირებელი კოჭების ერთი მხარე კედელს ეყრდნობა, ბოლოები კედელზე მყარად და შესაბამისი წესით უნდა იყოს მიმაგრებული.

9. ნებისმიერი სახის ხარაჩო უნდა იყოს გამყარებული საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი სახის საბჯენი ან ჯვარედინი ბოძების მეშვეობით. ის აღჭურვილობა, რომელსაც ხარაჩო დაეყრდნობა, უნდა იყოს საკმარისად მყარი, სათანადო და უსაფრთხო.

10. აკრძალულია ხარაჩოების ასაგებად ან საყრდენად აგურების, კანალიზაციის მილების, ხის გალიების, ყუთების ან სხვა არასათანადო და არამყარი მასალების გამოყენება.

11. იმ შემთხვევაში, თუ შენობის ნაწილი ან სხვა ნაგებობა ხარაჩოს ან დასაკეცი კიბის საყრდენად გამოიყენება, აღნიშნული შენობა/ნაგებობა საკმარისად მყარი და გამძლე უნდა იყოს.

12. ხარაჩოს სამუშაო პლატფორმა უნდა იყოს ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ფიცრებისგან ან ლითონის ფურცლებისგან დამზადებული და გამყარებული ისე, რომ გამოირიცხოს მათი გამოძრაობა.

13. ფიცრებს ან ლითონის ფურცლებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 3 სმ-ს.

14. სამუშაო პლატფორმის სიგანე არ უნდა იყოს 80 სმ-ზე ნაკლები, მისი სიგანე უნდა ფარავდეს საყრდენ ბოძებს შორის მანძილს.

15. სამუშაოების კედლის კიდეზე შესრულებისას სამუშაო პლატფორმა კედლის კიდიდან მინიმუმ 60 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული.

16. სამუშაო პლატფორმის გვერდებსა და ნაგებობას შორის დაშორება 25 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

17. ხარაჩოს ნაწილობრივ მოხსნა ან დაუსრულებელი სახით დატოვება (როდესაც ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ხარაჩოს გამოყენების შესაძლებლობა არსებობს) დაუშვებელია.

18. ნაწილობრივ მოხსნილი ან დაუსრულებელი სახით ხარაჩოების დატოვების შემთხვევაში (როდესაც ამის აუცილებლობა არსებობს), შემდეგი სახის ზომები უნდა იქნეს მიღებული: ნაწილობრივ მოხსნილ ან დაუსრულებელ ხარაჩოებთან თვალსაჩინო ადგილებზე უნდა იყოს

განთავსებული ამკრძალავი/მაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს; ამ ხარაჩოებთან მიმავალი გზები უნდა იყოს გადაკეტილი შესაბამისი სახის მოაჯირებით.

19. ხარაჩოების სარემონტო-საექსპლუატაციო სამუშაოები უნდა ტარდებოდეს კომპეტენტური პერსონალის მიერ, სტანდარტების შესაბამისად.

მოთხოვნები დაკიდული ხარაჩოების მიმართ

1. დაკიდული ხარაჩოების ასაწევად ან დასაწევად ამწევი მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:

ა) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე და მისი მოვლა/ექსპლუატაცია ხორციელდებოდეს უსაფრთხოდ;

ბ) ხარაჩო უსაფრთხოდ და მყარად უნდა იყოს დაფიქსირებული დამაგრების ადგილზე;

გ) ამწევი მოწყობილობის დეტალები უნდა იყოს განლაგებული ხარაჩოს კიდეზე (შეძლებისდაგვარად). ბაგირები უნდა იყოს მაქსიმალურად დაჭიმული;

დ) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს აღჭურვილი მუხრუჭებით ან შესაბამისი შემაჩერებელი მექანიზმით;

ე) ამწეზე ხარაჩოს დაკიდების შემთხვევაში, ხარაჩოს ქვედა ნაწილზე მიმაგრებულ თითოეულ შკივზე თოკი მინიმუმ ორჯერ უნდა იყოს შემოხვეული, ხოლო თითოეულ შკივზე დახვეული თოკის ბოლო ნაწილის სიგრძე უნდა იყოს თვალისათვის აღქმადი.

2. საბჯენ ბოძებთან ერთად მახალანსირებელი ტვირთის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული ტვირთი ბოძებზე მყარად უნდა იყოს მიმაგრებული.

3. დაკიდულ ხარაჩოზე ასვლისას და ჩამოსვლისას არავითარი დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს. მათი დიზაინი ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის ჩამოვარდნას უნდა გამორიცხავდეს. ხარაჩოს ორივე მხარეს უნდა არსებობდეს მათი გამოძრავების აღმკვეთი მექანიზმები..

4. დაკიდული ხარაჩოს ამწევი საშუალებები: ბაგირები, ჯაჭვები და ა.შ. უსაფრთხოდ უნდა იყოს დამაგრებული პლატფორმის ჩარჩოზე ან ნებისმიერ ამწევ მოწყობილობაზე, დაჭიმულ მდგომარეობაში.

5. დაკიდული ხარაჩოს დახრის, რხევის ან ჩამოვარდნის აღსაკვეთად უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები;

6. დაკიდულ ხარაჩოებზე, ტვირთის აწევის მიზნით, მხოლოდ შესაბამისი გამძლეობის გვარლისა და სტანდარტული ბაგირების გამოყენება არის შესაძლებელი.

7. როდესაც დაკიდულ ხარაჩოზე, შკივის ან მსგავსი აღჭურვილობის მეშვეობით, გალიების, კალათების და ა.შ. ტვირთის აწევა ხორციელდება:

ა) აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე, მყარი მასალებისგან დამზადებული და გამართულ მდგომარეობაში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ეს აღჭურვილობა უნდა იყოს სხვა დანადგართან მყარად მიმაგრებული ან მასზე დაყრდნობილი.

8. გალიების, კალათების ან მსგავსი მოწყობილობების გადმოყირავების და დასაქმებულების გადმოვარდნის პრევენციის მიზნით, უნდა იქნეს მიღებული უსაფრთხოების ზომები;

9. გალიების, კალათებისა და მსგავსი კონსტრუქციების მოაჯირის სიმაღლე ძირიდან უნდა შეადგენდეს 90-120 სმ-ს, მათი მონტაჟისა და გამოყენების პროცესს უნდა ზედამხედველობდეს პასუხისმგებელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

10. როდესაც ვერტიკალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს შეკრული და დამაგრებული საყრდენ ნაწილზე, არ უნდა იყოს დამაგრებული ხარაჩოზე და უნდა იყოს დაცული დაზიანებებისაგან. საყრდენი ნაწილები მოიცავს შენობის სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილებს და არ მოიცავს მილებს, სავენტილაციო ხერხელებს, სხვა მილგაყვანილობის სისტემებს, ელექტროსადენებსა და მსგავს ელემენტებს.

11. როდესაც ჰორიზონტალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოს ორ ან მეტ სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილზე ან შესაძლოა იყოს დამაგრებული საკიდარ და დამოუკიდებელ საკიდარ ხაზებზე (ამგვარად აღჭურვილ ხარაჩოებზე), რომლებიც დამაგრებულია ამწევ და სამუხრუჭე მექანიზმებზე. ჰორიზონტალური დამცავი ბაგირი უნდა იყოს დამაგრებული მხოლოდ საკიდარ თოკებზე.

12. როდესაც ღვედი არის დაკავშირებული ჰორიზონტალურ დამცავ ბაგირთან ან რეგულირებადი მოძრავი ხარაჩოს სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილთან, ხარაჩო აღჭურვილი უნდა იყოს დამოუკიდებელი დამატებითი დამჭერი ტროსით ან ავტომატური ჩამკეტი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ხარაჩოს ვარდნის შეჩერებას ერთი ან ორივე საკიდი ბაგირის დაზიანების შემთხვევაში. დამოუკიდებელი დამჭერი ტროსი უნდა იყოს ისეთივე გამძლე და იმ რაოდენობის, როგორიც საკიდი თოკებია.

13. ვერტიკალური დამცავი ბაგირი, დამოუ¹. დაკიდული ხარაჩოების ასაწევად ან დასაწევად ამწევი მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:

ა) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე და მისი მოვლა/ექსპლუატაცია ხორციელდებოდეს უსაფრთხოდ;

ბ) ხარაჩო უსაფრთხოდ და მყარად უნდა იყოს დაფიქსირებული დამაგრების ადგილზე;

გ) ამწევი მოწყობილობის დეტალები უნდა იყოს განლაგებული ხარაჩოს კიდეზე (შეძლებისდაგვარად). ბაგირები უნდა იყოს მაქსიმალურად დაჭიმული;

დ) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს აღჭურვილი მუხრუჭებით ან შესაბამისი შემაჩერებელი მექანიზმით;

ე) ამწეზე ხარაჩოს დაკიდების შემთხვევაში, ხარაჩოს ქვედა ნაწილზე მიმაგრებულ თითოეულ შკივზე თოკი მინიმუმ ორჯერ უნდა იყოს შემოხვეული, ხოლო თითოეულ შკივზე დახვეული თოკის ბოლო ნაწილის სიგრძე უნდა იყოს თვალთა აღქმადი.

2. საბჯენ ბოძებთან ერთად მაბალანსირებელი ტვირთის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული ტვირთი ბოძებზე მყარად უნდა იყოს მიმაგრებული.

3. დაკიდულ ხარაჩოზე ასვლისას და ჩამოსვლისას არავითარი დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს. მათი დიზაინი ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის ჩამოვარდნას უნდა გამორიცხავდეს. ხარაჩოს ორივე მხარეს უნდა არსებობდეს მათი გამოდრავების აღმკვეთი მექანიზმები..

4. დაკიდული ხარაჩოს ამწევი საშუალებები: ბაგირები, ჯაჭვები და ა.შ. უსაფრთხოდ უნდა იყოს დამაგრებული პლატფორმის ჩარჩოზე ან ნებისმიერ ამწევ მოწყობილობაზე, დაჭიმულ მდგომარეობაში.

5. დაკიდული ხარაჩოს დახრის, რხევის ან ჩამოვარდნის აღსაკვეთად უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები;

6. დაკიდულ ხარაჩოებზე, ტვირთის აწევის მიზნით, მხოლოდ შესაბამისი გამძლეობის გვარლისა და სტანდარტული ბაგირების გამოყენება არის შესაძლებელი.

7. როდესაც დაკიდულ ხარაჩოზე, შკივის ან მსგავსი აღჭურვილობის მეშვეობით, გალიების, კალათების და ა.შ. ტვირთის აწევა ხორციელდება:

ა) აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე, მყარი მასალებისგან დამზადებული და გამართულ მდგომარეობაში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ეს აღჭურვილობა უნდა იყოს სხვა დანადგართან მყარად მიმაგრებული ან მასზე დაყრდნობილი.

8. გალიების, კალათების ან მსგავსი მოწყობილობების გადმოყირავების და დასაქმებულების გადმოვარდნის პრევენციის მიზნით, უნდა იქნეს მიღებული უსაფრთხოების ზომები;

9. გალიების, კალათებისა და მსგავსი კონსტრუქციების მოაჯირის სიმაღლე ძირიდან უნდა შეადგენდეს 90-120 სმ-ს, მათი მონტაჟისა და გამოყენების პროცესს უნდა ზედამხედველობდეს პასუხისმგებელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

10. როდესაც ვერტიკალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს შეკრული და დამაგრებული საყრდენ ნაწილზე, არ უნდა იყოს დამაგრებული ხარაჩოზე და უნდა იყოს დაცული დაზიანებებისაგან. საყრდენი ნაწილები მოიცავს შენობის სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილებს და არ მოიცავს მიწებს, სავენტილაციო ხვრელებს, სხვა მილგაყვანილობის სისტემებს, ელექტროსადენებსა და მსგავს ელემენტებს.

11. როდესაც ჰორიზონტალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოს ორ ან მეტ სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილზე ან შესაძლოა იყოს დამაგრებული საკიდარ და დამოუკიდებელ საკიდარ ხაზებზე (ამგვარად აღჭურვილ ხარაჩოებზე), რომლებიც დამაგრებულია ამწევ და სამუხრუჭე მექანიზმებზე. ჰორიზონტალური დამცავი ბაგირი უნდა იყოს დამაგრებული მხოლოდ საკიდარ თოკებზე.

12. როდესაც ღვედი არის დაკავშირებული ჰორიზონტალურ დამცავ ბაგირთან ან რეგულირებადი მოძრავი ხარაჩოს სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილთან, ხარაჩო აღჭურვილი უნდა იყოს დამოუკიდებელი დამატებითი დამჭერი ტროსით ან ავტომატური ჩამკეტი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ხარაჩოს ვარდნის შეჩერებას ერთი ან ორივე საკიდი ბაგირის დაზიანების შემთხვევაში. დამოუკიდებელი დამჭერი ტროსი უნდა იყოს ისეთივე გამძლე და იმ რაოდენობის, როგორიც საკიდი თოკებია.

13. ვერტიკალური დამცავი ბაგირი, დამოუკიდებელი დამჭერი ტროსი და საკიდი ბაგირები არ უნდა იყოს ერთმანეთზე მიმაგრებული, ასევე ისინი არ უნდა იყოს მიმაგრებული ერთ საყრდენ ნაწილზე, ასევე არ უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოზე ან ინდივიდუალური დაცვის საშუალების ერთსა და იმავე წერტილზე. კიდებელი დამჭერი ტროსი და საკიდი ბაგირები არ უნდა იყოს ერთმანეთზე მიმაგრებული, ასევე ისინი არ უნდა იყოს მიმაგრებული ერთ საყრდენ ნაწილზე, ასევე არ უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოზე ან ინდივიდუალური დაცვის საშუალების ერთსა და იმავე წერტილზე.

მოთხოვნები გადასატანი ხარაჩოების მიმართ

1. გადასატანი ხარაჩოს დამზადებისას გამოყენებული ყველა საბჯენი უნდა იყოს მყარი და სათანადო, გამძლე მასალისგან დამზადებული.

2. დაუშვებელია გადასატანი ხარაჩოს სტაციონარულ ხარაჩოზე განლაგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სივრცე საკმარისად ფართოა, ხოლო საყრდენი ბოძები პლატფორმაზე მყარად არის დამაგრებული..

3. ბორბლებზე ან რელსებზე მოძრავი ხარაჩო:

ა) აგებული უნდა იყოს სწორ, მყარ და გლუვ ზედაპირზე;

ბ) ისე უნდა იყოს დაფიქსირებული, რომ გამოირიცხოს მისი გამოძრავება მასზე დასაქმებულის მუშაობის პროცესში;

გ) გადასატანი ხარაჩოს უნდა გააჩნდეს მასზე მყარად დამაგრებული შესაბამისი კიბე.

4. ხარაჩოს დატვირთვა არ უნდა აჭარბებდეს პასპორტით გათვალისწინებულ ნორმას.

მოთხოვნები ხარაჩოს ტვირთამწეობისა და შემოწმების მიმართ

1. ხარაჩოზე არსებული ტვირთი უნდა იყოს მაქსიმალურად დაბალანსებული იმგვარად, რომ არ მოხდეს ხარაჩოს გადატვირთვა.

2. ხარაჩოზე მასალის გადაადგილება ან განლაგება მისი რყევის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს.

3. ხარაჩოზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ის მასალა, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად არის აუცილებელი.

4. სამუშაო ადგილებზე ხარაჩოების, გალიების, კალათებისა და მსგავსი აღჭურვილობის გამოყენებისას პასუხისმგებელმა ან მის მიერ დანიშნულმა პირმა ამ აღჭურვილობის შემოწმება უნდა მოახდინოს შემდეგი პერიოდულობის დაცვით:

ა) ექსპლუატაციაში შესვლამდე;

ბ) ექსპლუატაციის შემდეგ, პერიოდულად – არანაკლებ 7 დღეში ერთხელ;

გ) აღჭურვილობის მოდიფიკაციის, გარკვეული პერიოდით მოცდენის, ცუდი ამინდის, სეისმური რყევების ან ნებისმიერი სხვა გარემოების დადგომის შემდეგ, რომელსაც მის ტვირთამწეობაზე ან მდგრადობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ამ შემთხვევებში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შემოწმება;

5. შემოწმების ანგარიში უნდა მომზადდეს წერილობით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს კომპეტენტური პირი და ინახებოდეს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან.

უსაფრთხოების ბადეები

1. უსაფრთხოების ბადე უნდა განთავსდეს სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოების ქვემოთ, სადაც ვერ ხერხდება სხვა სახის დამცავი საშუალების ეფექტური გამოყენება..

2. უსაფრთხოების ბადე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა განთავსდეს პლატფორმის ქვემოთ მაქსიმალურად ახლოს, მაგრამ არაუმეტეს 9 მეტრი სიმაღლისა;

ბ) უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს ქვედა სამუშაო სივრცეებისა და მიმდინარე პროცესების ხილვადობას, რათა არ მოხდეს მყარი საგნების გადაგდება და არასასურველი კონტაქტი მიწის ზედაპირთან;

გ) დამონტაჟების შემდეგ უნდა მოხდეს მისი შემოწმება. დამცავი ბადის შემოწმება უნდა განხორციელდეს მუშაობის დაწყებამდე, ხოლო თუ აღნიშნული ბადე არ იქნა მოხსნილი ან გადატანილი, მისი განმეორებითი შემოწმება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 6 თვისა. ბადის გამოცდისას უნდა გამოიყენონ 180 კგ-ის სიმძიმის ტვირთი არანაკლებ 1 მეტრის სიმაღლიდან. გამოცდის შედეგები უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად, კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ;

დ) დაუშვებელია დეფექტის მქონე ბადის გამოყენება დამცავ საშუალებად; ასევე უნდა განხორციელდეს ბადის შემოწმება ნებისმიერი ინციდენტის შემდეგ;

2) ყოველ დამცავ ბადეს კიდეზე უნდა ჰქონდეს ბაგირი, რომელიც უნდა უძლებდეს 2250 კგ მასის დატვირთვას.

3. უსაფრთხოების ბადეები გარე მიმართულებით, სამუშაო ზედაპირის ყველაზე დაშორებული წერტილიდან უნდა იყოს განთავსებული შემდეგნაირად:

ვერტიკალური მანძილი სამუშაო პლატფორმიდან ბადის ჰორიზონტალურ ზედაპირამდე	ბადის გარე კიდის მინიმალური ჰორიზონტალური მანძილი სამუშაო ზედაპირის კიდიდან
1.5 მეტრამდე	2.5 მეტრი
1.5 მეტრიდან 3 მეტრამდე	3 მეტრი
3 მეტრზე მეტი	4 მეტრი.

4. თითოეული უსაფრთხოების ბადის ღია უჯრედის გვერდის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ-ს. ყველა უჯრედის კვეთა დაცული უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს ღია უჯრედის გაფართოება;

სიმალიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

1. სიმალიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც განკუთვნილია სიმაღლეზე მომუშავე ადამიანის ვარდნისაგან დაცვისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დამაკავშირებელი მოწყობილობა უნდა იყოს დამზადებული დაპრესილი ან ფორმირებული ფოლადისგან ან მისი მსგავსი მასალისგან;

ბ) დამაკავშირებელ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს კოროზიისაგან დამცავი დაბოლოებები და მისი ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, რათა არ მოხდეს ამ სისტემის შემადგენელი ნაწილების დაზიანება;

გ) კარაბინებისა და ჩამკეტებიანი კაუჭების გამძლეობაზე სიმტკიცე უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2250 კგ-ის დატვირთვისას;

დ) კარაბინები და ჩამკეტებიანი კაუჭები უნდა გამოიცადოს მინიმუმ 1600 კგ-ის გამძლეობაზე, რომლის დროსაც არ უნდა მოხდეს მათი გატეხვა, გაწყვეტა ან დეფორმაცია;

ე) ჩამკეტებიანი კაუჭი უნდა გაიზომოს, რომ თავსებადი იყოს მიერთებულ ნაწილებთან, რათა არ მოხდეს მისი შემთხვევითი ამოვარდნა საჭერი მოწყობილობიდან. კაუჭი ასევე უნდა იკეტებოდეს, რათა გამოირიცხოს საჭერიდან და მიმაგრებული ნაწილებიდან გამოვარდნა;

ვ) თუ ჩამკეტებიანი კაუჭს არ აქვს სამაგრი, ის არ უნდა გამოიყენებოდეს: თასმებზე, ბაგირებზე, ლითონის ბაგირებზე, კარაბინებზე, ჰორიზონტალურ ტროსებზე ან ნებისმიერ

ნივთზე, რომლის ფორმა ან ზომა იმდენად შეუთავსებელია კაუჭთან, რომ შესაძლოა მოხდეს შემთხვევითი ამოვარდნა საჭერებიდან, შეერთებული ნაწილების დაწევა ან განცალკევება;

ზ) ჰორიზონტალური ტროსების მქონე დაკიდულ ხარაჩოებზე ან მსგავს სამუშაო პლატფორმებზე, სადაც ჰორიზონტალური ტროსი შესაძლოა ვერტიკალურ ტროსებად იქნეს გამოყენებული, ჰორიზონტალურ ტროსთან დამაკავშირებელი მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ტროსის ორივე მხრიდან გამაგრებას;

თ) ჰორიზონტალური ტროსები, როგორც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, დაპროექტებულ, დაყენებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს კვალიფიციური პირის მიერ;

ი) ღვედები და ვერტიკალური ბაგირები უნდა უძლებდეს არანაკლებ 2250 კგ-ის სიმძიმით/მასით დატვირთვას;

კ) ვერტიკალური ბაგირების გამოყენებისას თითოეული დასაქმებული პირი ცალკეულ ბაგირზე უნდა იყოს მიმაგრებული, გარდა ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ლ) ლიფტის შახტის მშენებლობისას ორი დასაქმებული შეიძლება მიმაგრებული იყოს ერთსა და იმავე ბაგირზე იმ შემთხვევაში, თუ ორივე პირი ერთი კაბინის ზევით მუშაობს და კაბინა შემოსაზღვრულია მოაჯირებით, ხოლო ბაგირის სიმტკიცე უნდა უძლებდეს თითო კაცზე 4450 კგ-ის დატვირთვას;

მ) ადამიანის დამცავი ბაგირები დაცული უნდა იყოს გადაჭრისაგან თუ გაცვეთისაგან;

ნ) გამოსაწევი ტიპის ბაგირები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს და მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს გამძლეობის სიმტკიცეს მინიმუმ 3350 კგ-ის დატვირთვით;

ო) გამოსაწევი ტიპის ტროსები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით არ ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს, ასევე გაცვეთილი და დეფორმირებული ღვედები, რომლებიც მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს არანაკლებ 2250 კგ-ის დატვირთვას;

პ) ანკერული გამაგრებები, რომლებიც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს ამაგრებს, უნდა იყოს განცალკევებული იმ ანკერული გამაგრებებისგან, რომლებიც პლატფორმების საყრდენებად ან საკიდად გამოიყენება და თითოეულ დასაქმებულზე უნდა უძლებდეს მინიმუმ 2250 კგ-ის დატვირთვას და უნდა დამონტაჟდეს და გამოყენებულ იქნეს კვალიფიციური პირის ზედამხედველობის ქვეშ.

2. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებმა ვარდნის შეჩერებისას უნდა უზრუნველყონ ვარდნის დროს დასაქმებულის შეჩერება მიწის

ზედაპირიდან 1.8 მეტრის სიმაღლეზე და არ უნდა მოახდინონ მისი შეხება მიწის ზედაპირთან;

3. სხეულის სალტეები, სხვა აღჭურვილობები და კომპონენტები უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ დასაქმებულთა დასაცავად. დაუშვებელია მათი გამოყენება სხვა მასალების ასაწევად/გადასატანად;

4. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და კომპონენტები გაუმართაობის დროს ხმარებიდან უნდა იქნეს ამოღებული და არ იქნეს გამოყენებული იქამდე, ვიდრე არ შემოწმდება კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ;

5. დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა სწრაფი ევაკუაცია ვარდნის შემთხვევაში ან/და დარწმუნდეს, რომ დასაქმებულებს თავად აქვთ საკუთარი თავის გადარჩენის შესაძლებლობა;

6. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა შემოწმდეს ყოველი გამოყენების წინ ცვეთაზე, დაზიანებაზე და სხვა ხარვეზებზე. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დაცვის საშუალება ან/და დეფექტური ნაწილები დაუყოვნებლივ უნდა ჩანაცვლდეს ან მოხდეს მათი ხმარებიდან ამოღება;

7. სხეულის სალტეები უნდა იყოს არანაკლებ 4 სმ-ის სიგანისა.

8. სიმაღლიდან ვარდნის დამცავი ინდივიდუალური დაცვის საშუალება დამაგრებული არ უნდა იყოს მოაჯირის სისტემაზე და არც ამწევ მექანიზმებზე.

9. თუ სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალება გამოიყენება ამწევი მექანიზმების გამოყენების ადგილებზე, იგი უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებულების მოძრაობას მხოლოდ სამუშაო ზედაპირის კიდეში.

მოთხოვნები დამჭერი მოწყობილობების მიმართ

1. დამჭერი მოწყობილობები იმგვარად უნდა იქნეს დამაგრებული, რომ არ დაუშვას მომუშავის თავისუფალი ვარდნა 0.6 მეტრზე მეტად.

2. ანკერები, რომელზეც დამაგრებულია დამჭერი მოწყობილობები, უნდა უძლებდეს 1360 კგ-ის დატვირთვას.

3. ჩამჭიდები დამზადებული უნდა იყოს ნაწრთობი, ჩამოსხმული, ფორმირებული ფოლადის ან სხვა ეკვივალენტური მასალისგან.

4. ჩამჭიდებს უნდა გააჩნდეთ კოროზია გამძლე საფარი და ყველა ზედაპირი უნდა ჰქონდეთ გლუვი, დამჭერი მოწყობილობის კონტაქტში მყოფი ელემენტების დაზიანების გამოსარიცხად.

5. დამაკავშირებელი მოწყობილობები უნდა უძლებდეს 2268 კგ-ის (22.2 კილონიუტონი) დაჭიმულობის ძალას.

6. კაუჭებსა და ჩამკეტიან კაუჭებს ჩატარებული უნდა ჰქონდეთ გამოცდა სიმტკიცეზე და გააჩნდეთ მინიმალური დაჭიმულობის ძალა 1633 კგ-ის დატვირთვისთვის.

7. ჩამკეტიანი კაუჭის ზომა უნდა შეესაბამებოდეს/მორგებული უნდა იყოს იმ ნაწილების ზომას, რომელთანაც არის დაკავშირებული, რათა გამორიცხულ იქნეს დაჭიმულობით გამოწვეული შემთხვევითი განცალკევება. დასაშვებია მხოლოდ ჩამკეტი ტიპის სამაგრი კავების გამოყენება.

8. ყოველი გამოყენების წინ დამჭერი მოწყობილობის სისტემა უნდა შემოწმდეს ცვეთის, დაზიანებებისა და სხვა ნაკლოვანებების არსებობაზე. დეფექტური ნაწილები არ უნდა იქნეს გამოყენებული.

9. ტანის სალტე, ქამარი და ვარდნისგან დამცავი სხვა აღჭურვილობები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მომუშავე პერსონალის დაცვის მიზნით და იკრძალება მათი მასალის აწევის/გადაზიდვის მიზნით გამოყენება.

10. დამცავ მექანიზმზე აღნიშნული უნდა იყოს: დამამზადებლის სასაქონლო ნიშანი, ტიპი, ზომა, დამზადების თარიღი, ტექნიკური პირობები. დაუშვებელია მათი გამოყენება, თუ არ ხდება პერიოდული გამოცდა დატვირთვაზე. ასეთი ტიპის გამოცდა უნდა ხორციელდებოდეს ყოველ ექვს თვეში ერთხელ, 1470 ნ სტატიკურ დატვირთვაზე 5 წუთის განმავლობაში. გამოცდის შემდეგ არ უნდა დაირღვეს შემადგენელი ნაწილების ბოჭკოებისა და ნაკერების მთლიანობა.

მოთხოვნები მაფრთხილებელი ბარიერების მიმართ

1. სამშენებლო მოედანზე უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით („ფრთხილად“, „ვარდნის საფრთხე“, „არ გადაკვეთო“).

2. აღნიშნულ ბარიერამდე დასაქმებულებს ეძლევათ უფლება, იმუშაონ სიმაღლიდან ვარდნის სხვა დამცავი საშუალებების გარეშე, თუმცა მათ აკრძალული აქვთ ამ მაფრთხილებელი ბარიერის მიღმა დამცავი აღჭურვილობის გარეშე მუშაობა. მაფრთხილებელი ბარიერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა განთავსდეს სამუშაო ზედაპირის კიდიდან არანაკლებ 180 სმ-ის მანძილისა;

ბ) თუ საფრთხისშემცველ ადგილამდე მისასვლელი გზა არ გამოიყენება, ის უნდა შემოისაზღვროს თოკით, ბაგირით, ჯაჭვით, ბარიკადით ან სხვა შესაბამისი გამძლეობისა და სიმაღლის დამცავი ბარიერებით, რათა არ მოხდეს გარეშე პირთა შეღწევა;

გ) უნდა შედგებოდეს ბაგირისგან, მავთულისგან, ბიგისგან ან ჯაჭვისგან და შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) ბაგირზე, მავთულზე ან ჯაჭვზე განთავსებული უნდა იყოს თვალისთვის კარგად აღქმადი შეფერილობის მასალით დამზადებული აღმები;

გ.ბ) ბაგირი, მავთული ან ჯაჭვი სამუშაო ზედაპირიდან დაფიქსირებული უნდა იყოს არანაკლებ 85 სმ- ისა და არაუმეტეს 100 სმ-ის სიმაღლეზე;

გ.გ) ბაგირის/თოკის, მავთულის, ჯაჭვის დამონტაჟების შემდეგ ბიგი ისე მყარად უნდა დაფიქსირდეს, რომ მისი წაქცევა/ამოყირავება გამოირიცხოს. ბიგმა უნდა გაუძლოს ჰორიზონტალურად 7 კგ-ის ზეწოლას;

დ) ბაგირები ისე უნდა იყოს განთავსებული თითოეულ ბიგზე, რომ ბიგებს შორის ბაგირის გაბმამ არ გამოიწვიოს სხვა ბოძების სიმყარის შესუსტება და წაქცევა;

ე) არცერთ დასაქმებულს არ აქვს უფლება, იმყოფებოდეს კიდესა და მაფრთხილებელ ბარიერს შორის იმ დასაქმებულ(ებ)ის გარდა, რომელიც ამ ზონაში ახორციელებს სამუშაოს;

ვ) სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა დამატებითი მაფრთხილებელი ბარიერები.

მოთხოვნები გადასატანი კიბეების მიმართ

1. გადასატანი კიბეები დამზადებული უნდა იყოს გამძლე მასალისგან, უნდა მიმდინარეობდეს მათი სწორი მოვლა/ექსპლუატაცია და გამოიყენებოდეს დანიშნულებისამებრ.

2. აკრძალულია ისეთი გადასატანი კიბეების გამოყენება, რომლებსაც აკლია საფეხურ(ებ)ი ან აღენიშნებათ სხვა რაიმე დეფექტი.

3. საფეხურები ჩასმული უნდა იყოს ძელებში არსებულ შესაბამის (ამისთვის განკუთვნილ) ღრმულებში და უნდა იყოს კარგად დამაგრებული. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება ლითონისაგან დამზადებულ კიბეებზე.

4. საფეხურებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 30 სმ-ს.

5. ოთხ მეტრზე გრძელი გადასატანი კიბე დამზადებული უნდა იყოს მყარი ლითონის მასალისგან.

6. კიბის ზედა ნაწილი (როდესაც კიბე ვერტიკალურ ან დახრილ მდგომარეობაშია) მიმაგრებული უნდა იყოს იმ ადგილზე, რომელსაც ის ეყრდნობა. თუ კიბის ზედა ნაწილის უსაფრთხოდ მიმაგრება შეუძლებელია, მაშინ ის სამუშაო ზედაპირზე მყარად უნდა დამაგრდეს. თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ ნიადაგზე/იატაკზე უნდა იდგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთს კიბის დაცურებას. კიბე მყარ ნიადაგსა და ზედაპირზე უნდა დადგეს და გამაგრდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი ზედმეტი რხევა ან გაღუნვა;

7. იმ შემთხვევაში, თუ კიბის საფეხური გამოიყენება სამუშაო ადგილად, კიბის საფეხური მინიმუმ ერთი მეტრით უნდა იყოს დაშორებული ბოლო საყრდენი წერტილიდან.

8. მშენებლობაზე გამოყენებულ კიბეს უნდა გააჩნდეს ვერტიკალური ღერძები და საფეხურები, რომლებიც არ უნდა იყოს დაზიანებული. კიბის საყრდენი უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.

9. აკრძალულია არაქარხნული წესით, კუსტარულად დამზადებული კიბეების გამოყენება.

10. კიბე უნდა დაიდგას სათანადო კუთხით, სიმაღლის შესაბამისად, ხოლო კიბის ქვედა სადგამი კედლიდან გამოწეული უნდა იყოს კიბის სიმაღლის $\frac{1}{4}$ -ის მანძილით.

11. აკრძალულია კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა. დასაქმებულს კიბესთან უნდა ჰქონდეს სამწერტილოვანი კონტაქტი.

12. კიბის დადგმის ადგილი სწორად უნდა იქნეს შერჩეული და, საჭიროების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნებით.

13. მისასვლელ არეს კიბე უნდა აცდეს არანაკლებ ორი საფეხურით.

14. ღია ელექტროსადენებთან სიახლოვეს გამოყენებულ უნდა იქნეს მშრალი, დიელექტრიკული კიბეები.

15. ხარაჩოების, დამცავი ღვედების, კიბეების, სამუშაო პლატფორმებისა და ყველა ზემოთ აღნიშნული საშუალებების შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს პერიოდულად, კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დოკუმენტურად და შემოწმების აქტით.

მოთხოვნები ღიობების მიმართ

ღიობები (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა) დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით. ხუფები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ყველა ხუფი უნდა უძლებდეს მასზე მდგარი დასაქმებულის და განთავსებული ხელსაწყოთა და ნივთის გაორმაგებულ წონას;

ბ) ხუფები უნდა დამონტაჟდეს ისე მყარად, რომ შეუძლებელი იყოს მისი შემთხვევითი გადაადგილება;

გ) ხუფებს უნდა ჰქონდეს გამაფრთხილებელი წარწერა – „ორმო“ („HOLE“) და „ხუფი“ („COVER“)

სწავლება

1. სიმაღლეზე მომუშავე ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სწავლება, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სასწავლო მოდულებს.

2. სიმაღლეზე მომუშავეებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამის გამოყენებაზე. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული

დასაქმებულისათვის ვარდნის საფრთხის გამოცნობის შესაძლებლობას და უნდა მოიცავდეს ამ საფრთხის მინიმუმამდე შემცირების მიზნით აუცილებელ პროცედურებს.

3. დასაქმებულებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესახებ;

4. დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სწავლება უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

5. განმეორებითი სწავლება საჭიროა:

ა) როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დასაქმებული არ არის ადეკვატურად გადამზადებული;

ბ) თუ გამოვლინდა, რომ დასაქმებული არ იყენებს ან/და არასწორად იყენებს დამცავ საშუალებებს;

გ) აღმოჩენილია ახალი საფრთხე;

დ) მასიური უბედური შემთხვევის დროს;

ე) პერიოდულად, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე;

6. სწავლება/ტრენინგი/ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარდეს არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

7. ყველა სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) განხილულ მოდულებსა და საკითხებს;

ბ) სწავლების ადგილს;

გ) ტრენერის სახელს/გვარს;

დ) სწავლების თარიღს;

ე) სწავლების მონაწილეთა მონაცემებს;

ვ) დასაქმებულის ხელმოწერას;

8. დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ტრენინგების პროგრამის შემუშავება და განხორციელება თითოეული დასაქმებულისათვის, რომელსაც შესაძლოა დაემუქროს ვარდნის საფრთხე;